ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ნინო ბურჯანაძე: „ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას დემოკრატიული მეთოდით გავაგრძელებთ“ გვ.5



ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 2011 №218 (5598) ფასი: 30 თეთრი

## „მარშრუტკებთან“ ერთად ავტობუსებიც გაძვირდება! გვ.4



## ზურაბ აბაშიძე: „წყალი შეიძლება ისევ გაძვირდეს“

გვ.2

იყიდა თუ არა თბილისის წყალი „საქართველოს ბანკმა“

ჯონდი ბაღათურია: „ღვინოში, დუდუკსა და ქალებში ხელისუფლება მილიარდებს ხარჯავს“ გვ.3



პირველმა სხდომამ ხმაურით ჩაიარა

ოპოზიცია გვ.4 სტრატეგიული ობიექტების დაცვის გარანტიებს ითხოვს





ირაკლი სესიაშვილი: „სარკოზის გვ.6 და რასმუსენის ვიზიტი კონკრეტულ შემოთავაზებას უკავშირდება“

2012 წელი ქართველი დიპლომატებისთვის ძალიან მძიმე იქნება გვ.5





მიხეილ სააკაშვილი: „უკვე გვ.2 გასვენებული ვარ“

რუსეთს გვ.6 ევროპის აზრის გათვალისწინება მაინც მოუწევს



## რამდენი მილიარდი უჯდება რუსეთს აფხაზეთის და ცხინვალის აღიარება? გვ.7

გვ.6 შაშკინი სოფელ სანიორეში სკოლის დახურვას არ აპირებს





დავით ონოფრიშვილი: „ხელისუფლება სტრატეგიულ ობიექტებს გვ.4 საეჭვო კომპანიებს მიჰყიდის“

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**7** ნოდარ ნათაძე: „პუტინს ომს აღარ დააწყებინებენ“

**2** დღეს თბილისში რამდენიმე საავადმყოფოს ელექტროენერგია გაეთიშება

**11** მოსკოვში ფიროსმანის „შავ ლომს“ ექსპერტიზა უტარდება

**2** „სახალხო კრება“ „ქართველთა მარშში“ მონაწილეობას მიიღებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# წყალი შეიძლება ისევ გაძვირდეს

თეა მარხვაი ე


ზურაბ აბაშიძე

ხელისუფლების სიურპრიზებს ბოლო არ უჩანს. გავრცელებული ინფორმაციით წლის ბოლოსთვის წყალი კიდევ გაძვირდება. ოპოზიციის ვარაუდით სწორედ ამ მიზანს ემსახურება წყალზე მრიცხველების დაყენება. თუმცა ეს არ არის წყალთან დაკავშირებული ბოლო სიურპრიზი. თავისუფალი დემოკრატების მტკიცებით, თბილისის წყალი გაიყიდა და ის „საქართველოს ბანკმა" იყიდა.

თბილისის წყლის შესაძლო გაყიდვაზე თავისუფალი დემოკრატები მთელი ზაფხულის განმავლობაში საუბრობდნენ. ამასთან დაკავშირებით ზურაბ აბაშიძემ (ის საკრებულოში თავისუფალ დემოკრატებს წარმოადგენს) რამდენიმე პრესკონფერენცია გამართა.

მისი მტკიცებით, ხელისუფლება კიდევ ერთხელ აპირებდა თბილისის წყლის გაყიდვას. ეს ინფორმაცია თბილისის მერიამ რამდენჯერმე უარყო. გუშინ კი ზურაბ აბაშიძემ ოფიციალურად დაასახელა ის კომპანია, რომელმაც თბილისის წყალი იყიდა.

— თბილისის წყლის სადისტრიბუციო ნაწილი „საქართველოს ბანკმა" იყიდა.თბილისის წყალი, როგორც წარსულში გაიყიდა ფარულად რუსულ კომპანიაზე, ახლაც დაფარულად გაიყიდა „საქართველოს ბანკზე", — განაცხადა საკრებულოს დეპუტატმა.

ზურაბ აბაშიძის თქმით, არ არის გამორიცხული, წყალი ისევ გაძვირდეს. ამიტომაც თავისუფალი დემოკრატები ახალი მფლობელისგან პირობის დადებას ითხოვენ.

— ჩვენ გვაინტერესებს, აპირებს თუ არა „საქართველოს ბანკი" თბილისის წყლის სადისტრიბულიო ნაწილის შესყიდვის აღიარებას. ასევე გვსურს მივილოთ პასუხი კითხვაზე, მოხდება თუ არა წყლის გაძვირება ან დაიდოს პირობა, რომ არ შეიცვლება ტარიფები, — განაცხადა აბაშიძემ.

გაძვირდება თუ არა წყალი, ამაზე „საქართველოს ბანკი" პასუხის გაცემას არ აპირებს. რადგანაც „საქართველოს ბანკი" თბილისის წყალის შესყიდვაზე გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

— „საქართველოს ბანკი" „თბილისის წყლის" შესყიდვის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" „საქართველოს ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ბალავაძემ განუცხადა.

თავისუფალი დემოკრატები კი ისევ ამტკიცებენ, რომ თბილისის წყალი „საქართველოს ბანკმა" იყიდა.

— ხელისუფლებამ ძალიან ბევრი სტრატეგიული ობიექტი გაასხვისა ფარულად. ამჯერადაც ასე იქნება. თავიდან არ იტყვიან, რომ თბილისის წყლის სადისტრიბუციო ნაწილი გაიყიდა, — განუცხადა „ახალ თაობას" ზურაბ აბაშიძემ.

ის პირობას დებს, რომ თავისუფალი დემოკრატები ყველაფერს გაარკვევენ, რაც თბილისის წყალთან არის დაკავშირებული.

— ჩვენ არ დავუშვებთ, რომ წყალი კიდევ გაძვირდეს, — ამბობს საკრებულოს დეპუტატი.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა თბილისის წყალი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. ოპოზიციის დიდი ნაწილი დღემდე ამტკიცებს, რომ თბილისის წყალი არა შვეიცარიულმა ფირმამ, არამედ რუსულმა კომპანიამ იყიდა.

ამის დამადასტურებელ მაგალითად მოჰყავთ მიმდინარე წლის თებერვალში დანერგილი ნოვაცია. რომლის თანახმადაც წყლის გადასახადი რატომღაც დენს მიაბეს. იმ შემთხვევაში თუ წყალი არ გექნებათ გადახდილი, დენს ჩაგიჭრიან.

— ეს იმას ადასტურებს, რომ თელასის და თბილისის წყლის უკან ერთი და იგივე ხალხი დგას. ასე რომ არ იყოს, არავინ არ მიაბამდა დენს წყლის გადასახადს, — მიიჩნევს მოძრაობა „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი.

ვის ეკუთვნის თბილი-

## იყიდა თუ არა თბილისის წყალი „საქართველოს ბანკმა"

სის წყალი, ამაზე ჩვენში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. ოპოზიციის გარდა ამ თემით ექსპერტები და არასამთავრობო სექტორიც იყო დაინტერესებული.



არასამთავრობო ორგანიზაციამ „მწვანე ალტერნატივა" ამასთან დაკავშირებით საგანგებო კვლევა ჩაატარა და სპეციალური ანგარიშიც მოამზადა.

თბილისის მერიამ თბილისის წყლის გასხვისება 4 წლის წინ გადაწყვიტა. ექსპერტების განმარტებით საგანგებოდ მოხდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილება.

2007 წელს კანონში შეტანილმა ცვლილებამ სახელმწიფო წყალსადენისა და საკანალიზაციო მეურნეობის სისტემის პრივატიზება შესაძლებელი გახადა.

კანონის მიღებიდან ძალიან მალე მერია საქმეზე გადავიდა. უფრო სწორად, დააჩქარა, თორემ როგორც ექსპერტები ამბობენ, საქმე უკვე გაკეთებული იყო. თბილისის წყლის ახალი მეპატრონის ვინაობა თბილისის მერიამ 2007 წლის ოქტომბერში გვამცნო.

გიგი უგულავა მაშინ ამტკიცებდა, რომ ჩატარდა კონკურსი. კონკურსში გამარჯვებულად შვეიცარიული კომპანია „მალტიფლექს სოლუშენსი" გამოაცხადა. სწორედ მან დააფუძნა „ჯორჯიან უოთერ ფაუერი".

— გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გაკეთებულ ოფიციალურ განაცხადში აღნიშნული იყო, რომ შვეიცარიული კომპანია შესაძენ ობიექტებში 85 662 000 აშშ დოლარს გადაიხდის, განახორციელებს 350 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციას და 2008-2009 წლებში უცვლელად შეინარჩუნებს წყლის ტარიფს. გარდა ამისა, „მალტიპლექს სოლუშენსი" ვალდებულებას იღებს, რომ ის უზრუნველყოფს დედაქალაქის მოსახლეობისთვის 24-საათიან უწყვეტ წყალმომარაგებას, წყლის დაბალ ტარიფსა და მაღალ ხარისხს, — ვკითხულობთ „მწვანე ალტერნატივის" კვლევაში.

გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების წინადადებები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ განაცხადში აღნიშნული იყო, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და დედაქალაქის მერიაში არსებული ექსპერტთა ჯგუფი მყიდველი კომპანიის შესარჩევად შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა: წყლის დაბალი ტარიფის შენარჩუნება, გასაყიდი მაღალი ფასი და დიდი საინვესტიციო თანხა. წარმოდგენილი კომპანიებიდან იყვნენ ისეთებიც, რომელთაც „თბილისის წყლის" შესასყიდად ძალიან მაღალი თანხა ჰქონდათ დასახელებული, თუმცა, მათ მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებების თანახმად, წყლის ტარიფი სამომავლოდ საგრძნობლად იზრდებოდა, რის გამოც მათი წინადადებები დაწუნებულ იქნა. შესაბამისად, გამარჯვებულად დასახელდა კომპანია, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა. მას წარმოდგენილი ჰქონდა წყლის დაბალი ტარიფი, მაღალი შესასყიდი ფასი და საინვესტიციო თანხა.

როგორც ზემოთ მოყვანილი განაცხადებიდანაც ჩანს, წარდგენილი წინადადებების განხილვისას, კომპანიის გამოცდილება არ ყოფილა შერჩევის კრიტერიუმი. ასევე, აღსანიშნავია, რომ „მალტიპლექს სოლუშენსის" გამარჯვებულად დასახელებისას მითითებული იყო კომპანიის მიერ შემოთავაზებული ინვესტიციების რაოდენობა; ხოლო სხვა მონაწილეების წინადადებების გამოქვეყნებისას, მითითებული იყო მხოლოდ ფასი და ტარიფების ოდენობა.

ამდენად, მიუხედავად პროცესის მიმდინარეობის შესახებ საჯარო განცხადებების სიმრავლისა, საზოგადოებისთვის მაინც უცნობი დარჩა, რამდენად სამართლიანად იქნა შერჩეული გამარჯვებული კომპანია.

გაზეთ „ბანკების და ფინანსების" ცნობით, გადაწყვეტილების სამართლიანობაში ეჭვის შეტანის საბაბს იძლეოდა ისიც, რომ გამარჯვებული კომპანიის შესახებ ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და დედაქალაქის მთავრობის წარმომადგენლებს მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ „მალტიპლექს სოლუშენსი" შვეიცარული კომპანიაა; რესპონდენტები ღიად აცხადებდნენ, რომ არ ფლობდნენ სხვა სახის ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, ხოლო „მალტიპლექს სოლუშენსის" საქართველოს წარმომადგენლობამ განაცხადა, რომ „მალტიპლექს სოლუშენსი" საინვესტიციო კომპანიაა, თუმცა მას წყალში ინვესტიცია აქამდე არ განუხორციელებია და მისი ძირითადი ინტერესი ენერგეტიკაა. საქართველოში წარმომადგენლობას აქამდე არანაირი კონკრეტული საქმიანობა არ ჰქონია, გარდა ბაზრის შესწავლისა".

თბილისის წყალთან დაკავშირებით კიდევ უამრავი ჭორ-მართალი ითქვა. დიდი მცდელობის მიუხედავად ბოლომდე მაინც ვერ გაირკვა თუ რეალურად ვინ დგას თბილისის წყლის უკან. ოპოზიციის მტკიცებით კი ამ ყველაფრის უკან რუსული კომპანია დგას.

თავისუფალი დემოკრატები გვპირდებიან, რომ წყალთან დაკავშირებით ყველაფერს გაარკვევენ. ამის გარდა ამბობენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა წყალი კიდევ ერთხელ არ გაძვირდეს.

# სასამართლომ აფთიაქები დააჯარიმა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შუამდგომლობები - სამედიცინო მომსახურების სფეროში მომუშავე 8 მეწარმე სუბიექტის მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობისა და სახდელის დადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ სუბიექტებს ,,წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრათ ჯარიმა 2 ათასი ლარიდან 6 ათასი ლარის ფარგლებში და სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა შემდეგ სამართალდარღვევებს: - ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია არაუფლებამოსილი პერსონალის (ფარმაცევტული განათლების არმქონე) მიერ, პროდუქციის რეკლამის წესების დარღვევა, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების თაობაზე ინფორმაციის შეუტყობინებლობა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებების ფაქტობრივი ნაშთისა და მიღების დოკუმენტაციის შედარებით დაფიქსირდა სხვაობა ნაკლებობით, რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სპეციალური ფორმა №2. დაფიქსირდა ფარმაცევტული პროდუქტის ინსტრუქციით დადგენილი შენახვის პირობების დარღვევის ფაქტი, ფარმაცევტული საქმიანობის და ფარმაცევტული პროდუქტის აღრიცხვის დადგენილი წესების დარღვევა.

# დღეს თბილისში რამდენიმე საავადმყოფოს ელექტროენერგია გაეთიშება

„თელასის" ქვესადგურში „საბურთალო-3" სარემონტო სამუშაოების გამო დღეს 13 საათიდან 17 საათამდე საბურთალოს რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება.

ელექტრომომარაგება შეეზღუდება: ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას გამზირის, მიცკევიჩის, ტაშკენტის, ამბროლაურის, საირმის, თამარაშვილის, ზემო ვეძისის, საბურთალოს, ნუცუბიძის, დელისის, ბუდაპეშტის, ჩიქოვანის, გამსახურდიას და მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლებს.

შეზღუდვა ასევე შეეხება: ინფექციურ საავადმყოფოს, ტელეკომპანია „რუსთავი2", „ავერსის" კლინიკას, სისხლის გადასხმის ინსტიტუტს, ონკოლოგიურ საავადმყოფოს და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს. ამ ორგანიზაციებს დაგეგმილი შეზღუდვის შესახებ წინასწარ უკვე ეცნობათ.

დღესვე სარემონტო სამუშაოების გამო 10 საათიდან 16 საათამდე სამგორის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება.

შეზღუდვა შეეხება: ვარკეთილი 3-ის I მიკრორაიონის მოსახლეობას.

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება.

მედიანიუსი

# „სახალხო კრება" „ქართველთა მარშში" მონაწილეობას მიიღებს

„სახალხო კრება" 27 სექტემბერს, „ქართველთა მარშის" შესახებ "ეროვნული ფორუმის" ინიციატივას მხარს დაუჭერს, - ამის შესახებ „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრმა თემურ შაშიაშვილმა კრების სათავო ოფისის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ 26 მაისთან დაკავშირებით ყველა მათ ლანძღავდა, ხალხის ერთობა უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ.

— ჩვენ ოქტომბერში მსგავსი ღონისძიება გვქონდა დაგეგმილი. ამის მიუხედავად და იმის მიუხედავადაც, რომ ყველა ჩვენ გვლანძღავდა ერთობა მნიშვნელოვანია და „ფორუმის" ინიციატივას მხარს დავუჭერთ, — განაცხადა შაშიაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# მიხეილ სააკაშვილი: „უკვე გასვანებული ვარ"

პრეზიდენტ მიხეილ საკააშვილის განცხადებით, ძალიან შემცდარან მისი ოპონენტები, თუ კი ფიქრობენ, რომ პრეზიდენტის საქმე არქიტექტურით დაინტერესება, „პრარაბობა" და მშენებლობებზე სიარული არ არის. აღნიშნული განცხადება სააკაშვილმა გუშინ მესტიაში იუსტიციის სახლის გახსნის ცერემონიაზე გააკეთა. მისი თქმით, რაც კეთდება სვანეთში, ეს არის მრავალწლიანი ფიქრის და დაგეგმარების შედეგი.

— აქ რომ მოვდიოდი, გზაზე მხვდებოდნენ მშენებლები. მინდოდა თითოულ მათგანთან გადავსულიყავი და თვალებში ჩამეხედა. ეს ყველაფერი მათ წარმოუდგენლად სწრაფ ტემპებში გააკეთეს. ჩქარა და ხარისხიანად ვაკეთებთ იმიტომ, რომ ჩვენ დრო არ გვაქს და ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ ამას იმიტომ კი არა ვაკეთებთ, რომ საქართველო საფოსტო ბარათებზე ლამაზად გამოიყურებოდეს. ესეც გვინდა, მაგრამ მთავარი ქვეყნის განვითარება და ხალხისთვის შემოსავლის წყარო გაჩენაა. ბევრი ადამიანი გვყავს დასასაქმებელი, რათა მათ თავიანთი ოჯახების ღირსეულად რჩენა შეძლონ.. ხშირად ამბობენ, რა პრზიდენტის საქმეა არქიტექტურით დაინტერესება, პრარაბობა და მშენებლობებზე სირბილიო. აბა ვისი საქმეა?! ყველაფერი უნდა გავაკეთოთ რომ ქვეყანა განვითარდეს. აქ სვანეთში ხალხი უნდა დაუბრუნდეს თავის კერას და არა თუ თავის რჩენა უნდა შეძლონ, უნდა გამდიდრნენ კიდეც. წელს, წინა წელთან შედარებით, ორჯერ მეტი ტურისტი ჩამოვიდა და მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება მათი რიცხვი, — განაცხადა იუსტიციის სახლის გახსნაზე პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა სვანეთის მოსახლეობა ყველაზე ნიჭიერი, ჭკვიანი და დიდი ევროპელები უწოდა.

— გადარეულ გურულს რამაზ ნიკოლაიშვილს არც ღამე სძინავს, არც დღე, რომ სვანეთის გზები და ინფრასტრუქტურა ბოლომდე მოაწესრიგოს. ეს ისეთი მხარეა, ყველას იტაცებს. ისიც უკვე გასვანდა, როგორც მე. სამ დღეზე მეტი მაქვს აქ გატარებული და უკვე გასვანებული ვარ. თქვენსავით ვაზროვნებ და ვუყურებ ამ ცხოვრებას, — განაცხადა მესტიაში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## სიძის მიმართ ცრუ დასმენისთვის სიდედრი გაასამართლეს

2011 წლის 31 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა მარინე აფციაურის მიმართ. მას ბრალად ედებოდა ცრუ დასმენა საკუთარი სიძის მიმართ, რასაც ერთვოდა ბრალდება მძიმე დანაშაულის შესახებ.

საქმის მასალების მიხედვით: თბილისში, მცხოვრებ მარინე აფციაურს საკუთრებაში „ფოლკსვაგენ გოლფი“ -ის მარკის ავტომანქანა ჰყავდა, რომლითაც ხშირად სარგებლობდნენ ოჯახის წევრები, მათ შორის მარინე აფციაურის სიძე - ვახტანგ დ.

მარინე აფციაურს და მის შვილს - თამარ აფციაურს ჰქონდათ ეჭვი, რომ ვახტანგ დ.-ს ყავდა ე.წ. საყვარელი და როდესაც 2011 წლის 20 ივნისს, ვახტანგ დ. ავტომანქანით წავიდა, ისინი კერძო ტაქსით ვახტანგ დ.-ს სათვალთვალოდ გაჰყვნენ. დაახლოებით 17:00 საათზე, მან სიძის მანქანაში ორი მანდილოსანი შენიშნა. ვახტანგ დ.-ს სავარაუდო ღალატით შეშფოთებული მარინე აფციაური გადმოვიდა ავტომანქანიდან და ყვირილით მოსთხოვა სიძეს ავტომანქანის შეჩერება, რასაც ვახტანგ დ. არ დაემორჩილა.

აღნიშნული გარემოებით განერვიულებულმა მარინე აფციაურმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა და განაცხადა, რომ ვახტანგ დ.-მ მისი კუთვნილი ავტომანქანა გაიტაცა.

შეტყობინების საფუძველზე, თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს ისან-სამგორის სამმართველოს განყოფილებაში დაიწყო გამოძიება მ. აფციაურის ა/მანქანის ქურდობის ფაქტზე. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით გაირკვა, რომ რეალურად ავტომობილის ქურდობის ფაქტი არ მომხდარა და ადგილი ჰქონდა “ გაბრაზებული“ მარინე აფციაურის მიერ სიძის ცრუ დასმენას.

საქმის სასამართლო განხილვისას მარინე აფციაურმა აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული. ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების გარდა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურდა: მოწმეების, მათ შორის ვახტანგ დ.-ს მიერ მიცემული ჩვენებით, საპატრულო პოლიციიდან ამოღებული ოქმებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით მარინე აფციაურს სასჯელის სახედ და ზომად 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

# ჯონდი ბალათურია: „ღვინოში, დუდუკსა და ქალებში ხელისუფლება მილიარდებს ხარჯავს“

**ნანა მიშელაშვილი**

საპარლამენტო ოპოზიციასა და უმრავლესობას პირველივე სხდომაზე ერთმანეთი შემოელანძღათ. სახელმწიფო ჰიმნის მოსმენისთანავე ოპოზიცია მიკროფონებთან გამაგრდა და ხელისუფლება თითქმის ყველა საკითხზე გააკრიტიკა. ოპოზიციას ხურდა უმრავლესობამ დაუბრუნა.

პოლიტიკური შემოდგომა პარლამენტში იმის გარკვევით დაიწყო, იხარჯება თუ არა მილიონები ღვინოში, დუდუკსა და ქალებში? ვინ დარჩა ასლან აბაშიძის ერთგული ბოლომდე? არის თუ არა პოლიტიკური რთველი კახეთში და იცვლება თუ არა ყურძენში საარჩევნო ხმები და არის თუ არა ბატონყმობა თელავში?

ყველაზე მწვავე გამოსვლა „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბალათურიას ჰქონდა, რომელსაც უმრავლესობამ მანამდე ვიცე-სპიკერობაზე უარი უთხრა. ბალათურიამ გიგანტური ხაჭაპურით დაწყებული, ღვინით, დუდუკითა და ქალებით დამთავრებული, ყველაფრის გამო უსაყვედურა მმართველ პარტიას.

— მთელი ზაფხულის განმავლობაში, მთელი ქართველი მსოფლიო მომსწრე იყო, როგორ ატარებდა დროს მშიერი ხალხის მაძღარი ხელისუფლება. როგორ ვაკხანალიას ჰქონდა ადგილი გაუბედურებული ქვეყნის მხიარული მთავრობის მხრიდან: გიგანტური ხაჭაპურების ცხობით დაწყებული, უზარმაზარი ფეიერვერკით დამთავრებული. მილიარდები იხარჯება ღვინოში, დუდუკსა და ქალებში. მილიარდები იხარჯება დროს ტარებაში, ფეირვერკრბში, შადრევნების მშენებლობაში, — განაცხადა ჯონდი ბალათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერს აინტერესებს რას ზეიმობს მთავრობა ტრანსპორტის გაძვირებას? წამლებზე ფასების ზრდას? კვების პროდუქტებზე და ბენზინზე ფასების ზრდას?

„ქართული დასის“ ლიდერმა ალსან აბაშიძე და ბადრი პატარკაციშვილიც გაიხსენა, რომელთაც თავიდან თავს უამრავი ხალხი ეხვია, ბოლოს კი მარტო დარჩნენ.

— პრეზიდენტს უკან დაჰყვებოდა მლიქვნელების ძალიან დიდი რაზმი. ასეთი რაზმებით დადიოდა თავის დროზე ასლან აბაშიძე, შემდგომში ბადრი პატარკაციშვილი. სხვათა შორის, ასლან აბაშიძე როდესაც წავიდა და საქართველო დატოვა, ერთი კაცი არ დადგა მის გვერდით, ერთი ბასმაჩა ჰყავდა, რომელმაც ერთი კვირა საჭმელი არ ჭამა. ბათუმელები ამაზე ამბობდნენ, ბასმაჩას ძაღლი უნდა ერქვას და ამ ადამიანებს კაცებიო? ბადრი პატარკაციშვილს ბასმაჩაც არ დარჩა. მე უბრალოდ ადამიანურად გული შემტკივა, როდესაც ადამიანის ირგვლივ ასეთი რაზმი იკრიბება და როგორც კი მისი მზე ჩასვენებისკენ მიდის, მას ყველა ტოვებს. მე არ ვიცი ძაღლი ჰყავს თუ არა მიხეილ სააკაშვილს, ბასმაჩა ან სხვა, მაგრამ ერთი რამე იცოდეთ: თუ ხალხს თავი შეაძულეთ, თუ ხალხს აჩვენეთ, რომ არა მარტო უპასუხისმგებლო პოზიციას აფიქსირებთ, არამედ ხალხის ერთგვარი დაცინვა ხდება, იცოდეთ, ქვეყნის ხელისუფალს ამის გაკეთების უფლება არა აქვს, — აღნიშნა ბალათურიამ.




უმრავლესობის პასუხმაც არ დააყოვნა. პეტრე ცისკარიშვილს ბალათურიას მიერ ასლან აბაშიძის ძაღლთან დაკავშირებით ისტორია არ მოეწონა და ბალათურიას პოლიტიკური წარსული გაუხსენა.

— ალბათ, თავად ბალათურიას აღარ ახსოვს, რომ ედპ-ში იყო და იქიდან წამოვიდა, ასლან აბაშიძესთან იყო და წამოვიდა, ლეიბორისტებთან იყო და იქიდანაც წამოვიდა, ლევან გაჩეჩილაძის გვერდით იდგა და წამოვიდა. არ ვიცი, რომელი უფრო ერთგულია ასლან აბაშიძის შინაური ცხოველები თუ ჯონდი ბალათურიას პოლიტიკური ფიგურა? — მიმართა პეტრე ცისკარიშვილმა ბალათურიას.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა კი ოპოზიცია სიცრუის გავრცელებაში და არაკვალიფიციურობის გამო ამხილა.

მისი განცხადებით, ოპოზიციამ ეს ზაფხული ნამდვილად ვერ გამოიყენა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და იგივე ტონით იტყუება.

— თუ გინდა ქვეყანაში განავითარო ტურიზმი, დიახ, უნდა აღნიშნო ძალიან მაღალი დონის სასტუმრო „რედისონის“ გახსნა, ასევე ანაკლიაში ინფრასტრუქტურის გახსნა, სადაც ათიათასობით ადამიანს აქვს საშუალება ჩავიდეს და დაისვენოს, — განაცხადა გაბაშვილმა.

მანვე ახალი ფრაქციის შექმნის მიზანიც გააკრიტიკა. მისი თქმით, ეს ფრაქცია ხან ალასანიას ზომიერებას აპარებს, ხან ნოღაიდელის სტილში ქილიკობს და ხან ბურჯანაძის რადიკალიზმს ურევს.

— ჩამოყალიბდით, ბიომეტრიული პასპორტები გინდათ, ელექტრონული დაშიფვრა გაშინებთ თუ რა გინდათ და ამის შემდეგ მოგვმართეთ, — განაცხადა გაბაშვილმა, რომელმაც ოპოზიციას უფრო სერიოზული პრობლემების წამოწევა ურჩია.

ახალი ფრაქცია პეტრე ცისკარიშვილმაც არ დაინდო. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ახალ ფრაქციას „ერთობა სამართლიანობისთვის“ ღია კარის მტვრევაშიც ადანაშაულებს.

ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ ახალი ფარქცია კონკრეტული და თვალსაჩინო შეცდომა მოუვიდა. მისი თქმით, სხვადასხვა წარმომავლობის პოლიტიკური გუნდები ჯერ შეერთდნენ და ფრაქცია შექმნეს თანამდებობების მოსაპოვებლად და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს კანონმდებლობის გარკვევა.

— ახლა, რადგან პოლიტიკური შეთანხმება გაქვთ, იძულებული ხართ, ღია კარი ამტვრიოთ. თქვენს შემთხვევაში კარებიც არ არსებობს და მაინც რაღაცას ამტვრევთ, — მიმართა ცისკარიშვილმა ახალ ფრაქციას.

უმრავლესობისგან განსხვავებული პოზიცია აქვს ოპოზიციას. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ქვეყანაში უმუშევრობის დონის მატებაზე და ხელისუფლების არაადეკვატურობაზე აკეთებს აქცენტს.

გიორგი თარგამაძემ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ პირველ კარტალში, გასულ წელთან შედარებით, სახელმწიფო სექტორში 16 ათასი ადამიანი იქნა დათხოვილი და ამის საპირისპიროდ, არც ერთი ადამიანი არ დასაქმებულა კერძო სექტორში.

მისი თქმით, საქართველოში უმუშევრობის დონე მატულებს და ხალხი არა მცირე ბიზნესის განვითარებაზე, არამედ გადარჩენისთვის იბრძვის.

თარგამაძის შეფასებით, ხელისუფლების არაადეკვატურობის შედეგია სოფლის მეურნეობის დაცემის ტემპების გაძლიერება და ის, რომ მოსახლეობას ცხოვრება გადასახადებთან, ქვითრებთან და სახელმწიფოს მიერ შეწერილ თანხებთან ბრძოლად გადაექცათ.

არაადექვატურობის მაგალითად გიორგი თარგამაძემ თელავის რაიონის სოფელ სანიორეში სკოლის დახურვის გეგმაც დაასახელა.

— სკოლების ოპტიმიზაციას მხოლოდ სტატისტიკის ელემენტები აქვს განათლების სამინისტროსთვის და მთავრობისთვის. სანიორის მოსახლეობისთვის კი სკოლა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, რომლის არსებობაც აუცილებელია. მაგრამ მთავრობას არ ყოფნის ფული სკოლის არსებობისთვის, — განაცხადა თარგამაძემ

არაადეკვატურობის კიდევ ერთ მაგალითად თარგამაძემ საციგურაო მოედნების გახსნისთვის დახარჯული თანხები დაასახელა, რომლითაც შესაძლებელი იყო თუნდაც კახეთში სასაწყობო-სამაცივრე მეურნეობების აშენება.




გიორგი თარგამაძეს არაფერი აქვს საწინააღმდეგო ველობილიკებთან, თუმცა, მისივე თქმით, ქუთაისში იგივე თანხა გაიხარჯა ამ ბილიკებზე, რამდენითაც კახეთში რთველის სუბსიდირება ხდება.

— ის, რომ დღეს გლეხი მათხოვრულ თეთრებს იღებს საფერავსა და რქაწითელში, იმის დამსახურებაა, რომ მთავრობაში განსაკუთრებული ინტერესი აქვთ ველოსპორტზე“ — ასეთია თარგამაძის პოზიცია.

გიორგი თარგამაძის განაცხადებით, ქვეყანას არ ჰყავს სოფლის მეურნეობის მინისტრი და არ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

— მთავრობამ არ იცის, საით მიდის ქართული სოფელი. ქართული სოფელი მიდის უფსკრულისკენ და ამ გზაზე, ეს პოლიტიკა უნდა შევაჩეროთ“ — განაცხადა თარგამაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც პარლამენტში იკამათეს 2 ოქტომბერს თელავში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის დანიშნულ არჩევნებს შეეხება.

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ თელავში დაგეგმილი არჩევნებისათვის ინტერფრაქციული ჯგუფის, ან უშიშროების საბჭოსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის შექმნას ითხოვენ. დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული არჩევნები რთველის აქტიურ ფაზას ემთხვევა, ამიტომ შესაძლოა, ვინმემ რთველი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს. ლალიაშვილის თქმით, რთველი პოლიტიკური ჟონგლიორობის საგნად არ უნდა გადაიქცეს.

— ჩვენი ინიციატივაა, შეიქმნას ალტერნატიული შტაბები იმის გასაკონტროლებლად, თუ როგორ ბარდება ყურძენი, რათა ის საარჩევნო ხმებში არ გაიცვალოს. უნდა ჩამოყალიბდეს ინტერფრაქციული ჯგუფი ან უშიშროების საბჭოსთან არსებული უწყებათაშორისი კომისია მონიტორინგის განსახორციელებლად, თუ როგორ მიმდინარეობს თელავში საარჩევნო კამპანია, რათა იქ მოსახლეობისაგან რეალურად მხარდაჭერილმა კანდიდატმა გაიმარჯვოს, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

მისი თქმით, თელავში ბატონყმობა არ გადავარდნილა, ბატონები ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან, ყმებად კი ნაციონალები თელავის მოსახლეობას აღიქვამენ.

ამავე ფრაქციის წევრმა ლევან ვეფხვაძემ კი განაცხადა, რომ ინტერფრქციული ჯგუფის წევრები უნდა დაელაპარაკონ რაიონის მოსახლეობას და გაიგონ, ხდება თუ არა მათზე ზეწოლა. მისი თქმით, როცა „ქრისტიან-დემოკრატები“ თავიანთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის თელავში იმყოფებოდნენ და ამომრჩევლებს ხვდებოდნენ, 20-30 მეტრის დაშორებით მდგარი ავტომანქანიდან უცნობი პირები ამ შეხვედრას იღებდნენ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ „ქრისტიან-დემოკრატებს“ ურჩია, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის საკითხზე კონსულტაცია უმრავლესობასთან გაიარონ.

# ქუთაისელი მეტალურგები გაფიცვას აგრძელებენ

ქუთაისელი მეტალურგები საპროტესტო აქციას და შიმშილობას არ შეწყვეტენ, ვიდრე დირექცია მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს. ქუთაისში მდებარე ქართულ-ინდური კომპანია „ჰერკულესის“ თანამშრომლები საწარმოს შესასვლელთან გაფიცვას აგრძელებენ. აქვე იმყოფება მეტალურგიული საწარმოდან დათხოვნილი 17 თანამშრომელიც, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი პროტესტის მიზეზი საწარმოში არსებული არაადამიანური შრომითი პირობები და დირექციის მხრიდან ცინიკური დამოკიდებულებაა.

აქციის მონაწილეებს სოლიდარობა გამოუცხადეს საქართველოში არსებულმა სხვადასხვა დარგობრივმა პროფკავშირებმა. აქციაზე იმყოფება საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილიც.

— ჩვენი თვითმიზანი სულაც არ არის საწარმოების გაჩერება და საპროტესტო აქციების გამართვა. პირიქით, მე მივესალმები იმას, რომ ბევრი საწარმო და ბევრი ადამიანი იყოს დასაქმებული, თუმცა ქუთაისის მეტალურგიულ საწარმო „ჰერკულესში“ რაც ხდება, ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს, — განაცხადა ირაკლი პეტიაშვილმა.

გუშინ დილით საწარმოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებსა და იმ თანამშრომლებს შორის, რომლებიც სამუშაოზე არ შევიდნენ, საწარმოს ტერიტორიაზე ხმამაღალი სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. მოშიმშილეების კარავი სამართალდამცავებმა აიღეს, რომლის შემდეგ ირაკლი პეტრიაშვილის გადაწყვეტილებით, მოშიმშილეები ღამეს საწარმოსთან, მსუბუქ ავტომანქანაში გაათევენ.

როგორც საწარმოს თანამშრომლები აცხადებენ, გარდა იმისა, რომ მათ არა აქვთ სამუშაო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელთათმანი და ქუდები, ასევე პრობლემას წარმოადგენს სასადილოს, საპირფარეშოსა და საშხაპეს უქონლობა. ერთ-ერთი გათავისუფლებული თანამშრომლის გოჩა მელაძის განცხადებით, ისინი საწარმოდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ გაწევრიანდნენ პროფკავშირებში და შრომითი პირობების გამო დირექციას გარკვეული პრეტენზიები წაუყენეს.

— გარდა იმისა, რომ შეუსაბამო სამუშაო პირობებია, ხელფასებიც გვაკლდებოდა. როდესაც ერთ-ერთ ჩემს ხელმძღვანელს ვკითხე, რატომ მივიღე ნაკლები ხელფასი, მან მიპასუხა, რომ დანარჩენი ხელფასი „ამუნიამ შეჭამა“, — განაცხადა მელაძემ.

საპროტესტო აქციას საწარმოს 100-მდე თანაშრომელი უჭერს მხარს.

**ინტერპრესნიუსი**

# გალელებს თხილის ჩაბარება დაბალ ფასში უწევთ

გალის რაიონის მოსახლეობას თხილის ჩაბარება კვლავ ადგილზე, რეალურზე დაბალ ფასად უწევს.

როგორც „პირველს“ გალის რაიონიდან აცნობეს, თხილის ე.წ. საზღვარზე გადატანის უფლება კვლავ არავის ეძლევა.

— გალის რაიონის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი თხილის რეალიზაციაა, რომელსაც ისინი ადრე ზუგდიდში აბარებდნენ. ამჟამად ამის შესაძლებლობა აღარ არსებობს. თხილს ადგილზე აფხაზებთან დაახლოებული პირები შედარებით ნაკლებ ფასად იბარებენ. იშვითად ცალკეული ოჯახები თხილის ზუგდიდის რაიონში ფარულად გადატანას ახერხებენ, თუმცა შემჩნევის შემთხვევაში მათ ეს ტვირთის საფასურის ნახევარი უჯდებათ, — განუცხადა „პირველს“ წყარომ.

**პირველი**

# გიორგი ლალიძე: „მარშრუტკებთან ერთად ავტობუსებიც გაძვირდება!“

შორენა გონგლა ე



— მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მიკროავტობუსებზე ფასების ზრდის პარალელურად, ხელისუფლება მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირებასაც აპირებს, — ეს განცხადება პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლალიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მისი განცხადებით, მას აქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანში ე.წ. ყვითელ ავტობუსებზე მგზავრობის ფასი გაიზრდება, რასაც პარალელურად მოჰყვება მეტროპოლიტენის გაძვირებაც.

— მიკროავტობუსების გაძვირებასთან დაკავშირებით ჩვენ გავმართეთ საპროტესტო აქცია ქალაქის მერიასთან, პირადად შევხვდი ქალაქის ტრანსპორტის სამსახურის უფროსს აკაკი ჯოხაძეს და მას მოვთხოვე, რომ მერიას გაეცა რეკომენდაცია მიკროავტობუსებზე ფასების დაწევასთან დაკავშირებით. მათი მხრიდან იყო ასეთი დაპირება, რომ გასცემდნენ ამ რეკომენდაციას, თუმცა ფაქტი სახეზეა, რომ აკაკი ჯოხაძე აღმოჩნდა ცრუპენტელა, მან არ შეასრულა დაპირება, ეს ადამიანი სხვა დროსაც არის შემჩნეული ასეთ ქმედებებში, ეს ადამიანი რამდენიმე თვის წინ ამბობდა, რომ მგზავრობის ფასები არ გაიზრდებოდა, მაგრამ შედეგს უკვე ვხედავთ — აცხადებს გიორგი ლალიძე.

როგორც გაირკვა, ლალიძემ მიკროავტობუსებზე მგზავრობის საფასურის გაძვირება ორი თვის წინ ქვეყნის პირველ პირთანაც გააპროტესტა, თუმცა წერილობითი პასუხი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დღემდე არ მიუღია, ეს ის დროა, როდესაც ქვეყნის თავკაცები მთელი წლის ნაჯაფ სხეულს ივლისის მზეს აფიცხებდნენ. ასეა თუ ისე, მიკროავტობუსების თემამ კიდევ ერთხელ დალია ჩაილურის წყალი, თუმცა ლალიძე იმედს არ კარგავს, რომ თუ იქნება საზოგადოების აქტიურობა, მინიმალურ შედეგ მაინც მივაღწევთ.

— ჩვენ მიკროავტობუსების გაძვირების საკითხი გავაპროტესტეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთანაც. პრეზიდენტს ვთხოვეთ, რომ გამოეყენებინა თავისი პირადი ძალაუფლება და უშუალოდ ჩარეულიყო ამ საკითხში და რამენაირად მომხდარიყო ამ ყველაფრის დარეგულირება. ჩვენდა გასაკვირად, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან არანაირი პასუხი არ მიგვიღია, ფაქტი სახეზეა, პირდაპირ არის დაინტერესება ხელისუფლების ჩინოვნიკების თბილისში მიკროავტობუსების გაძვირებასთან დაკავშირებით. უბრალოდ ჩვენს ხელისუფლებას საკუთარი მოსახლეობის ბედი საერთოდ არ ადარდებს და საკუთარი ჯიბეების გასქელების ხარჯზე, ჩვენს ისედაც გაუბედურებულ მოსახლეობას კიდევ უფრო მეტ პრობლემებს უქმნიან. ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში დედაქალაქში საკმაოდ შემცირდა ე.წ. ყვითელი ავტობუსების რიცხვი, 9 საათის შემდეგ ძალიან იშვიათად მოძრაობენ და ეს ხდება იმის გამო, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისარგებლოს სამარშრუტო ტრანსპორტით. აქედან გამომდინარე, ერთი თვის განმავლობაში შპს „მიკროავტობუსმა“ ნახა საკმაოდ სერიოზული მოგება და ეს ხდება ამ ისედაც გაუბედურებული მოსახლეობის ხარჯზე. მე კარგად მახსოვს გიგი უგულავას დაპირებები, როდესაც ის თბილისის მოსახლეობას ჰპირდებოდა გაუმჯობესებულ სოციალურ გარემოს, ჰპირდებოდა მეტ სამუშაო ადგილს, მაგრამ როდესაც ის აირჩიეს ქალაქის მერად, ყველაფერი პირიქით გააკეთა. — აცხადებს გიორგი ლალიძე. და კიდევ ერთ ახალ შეზღუდვებზე ამახვილებს ყურადღებას.



გიორგი ლალიძე

— ხელისუფლებამ კიდევ ერთი ახალი კანონი შეიმუშავა, ანუ, ადამიანი, რომელიც საკუთარი სახსრებით აშენებს სახლს, ფანჯრების შეცვლის შესახებ ნებართვა უნდა მიიღოს მერიისგან. თუ მოქალაქემ ეს არ გააკეთა, ამ შემთხვევაში მერიას ჰყავს ზედამხედველობის სამსახური და მოქალაქეს, რომელიც საკუთარი ხარჯებით აკეთებს თავისივე საკუთრებას, დაუწესებენ უზარმაზარ ჯარიმებს. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია საკუთარი მოსახლეობა და ყველა თვალსაზრისით ისედაც დაბეჩავებულ მოსახლეობას, კიდევ უფრო დიდ გაჭირვებაში აგდებენ. დღეისათვის სამომხმარებლო კალათა შეადგენს 150 ლარს, ანუ ადამიანს ერთი თვის მანძილზე სჭირდება ასორმოცდაათი ლარი, რომ იარსებოს, ამ დროს კი პენსიები არის ასი ლარი. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს ხელისუფლება ამ სასაცილო კაპიკების ხარჯზე იკეთებს პიარს, რომ პენსიას უხდიან ას ლარს. ამ ფონზე სააკაშვილის ხელისუფლება თავს იწონებს, პენსიები კი არ იზრდება, პროაქტიკულად ცხოვრება ძვირდება. ყოველდღიურად იმატებს ფასები კვების პროდუქტებზე და რით უნდა ირჩინოს გაჭირვებულმა ადამიანმა თავი, გაუგებარია. სააკაშვილი თავს იწონებს იმითაც, რომ ქვეყანაში მილიონ შვიდასი ათასი არის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ეს ყველამ ვიცით, რომ არ არის რეალური სურათი, ასეთი ადამიანების რიცხვი გაცილებით მეტია. — აცხადებს ლალიძე, მისივე თქმით, მას რამდენიმე ხნის წინ დაუკავშირდნენ სოფლიდან ჩამოსული გლეხები, რომლებიც აცხადებენ, რომ ხელისუფლება გლეხებს წილში უზის.

— ხელისუფლებამ ასევე მოძებნა ხალხის ძარცვის კიდევ ერთი ახადი მეთოდი, ამის შესახებ პირადად მომმართეს მოქალაქეებმა. ანუ როდესაც ადამიანი ზრდის პირუტყვს და შემდგომ გადაწყვიტა მისი გაყიდვა, არის სპეციალური ბოინები, ერთი არის თელეთში და მეორე არის ნატახტარში და გლეხს არ აქვს იმისი უფლება, რომ ხორცი გაყიდოს ბაზარში ან მაღაზიას ჩააბაროს, გლეხი ვალდებულია მიიყვანოს ამ ე.წ. ბოინში თავისი მსხვილფეხა პირუტყვი, ისინი დაკლავენ ბოინში, აწონიან და ერთ კილოგრამ ხორცზე ერთ ლარს და 80 თეთრს ახდევინებენ ისევ თავის საქონელში. ამის შემდეგ გლეხი იღებს ფორმა ორს, რაც მას აძლევს ამ ხორცის გაყიდვის უფლებას. წარმოიდგინეთ, სახელმწიფო გლეხებს უზის წილში და საკუთარ ნაშრომში ფულს ართმევს. თავისთავად გასაყიდად გამოტანილ ხორცს ემატება ფასი და ამას აკეთებს ეს ხელისუფლება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩინოვნიკებმა კიდევ უფრო გაისქელონ ჯიბეები. საზოგადოებაში სოციალურ ნიადაგზე თანდათან იზრდება მოსახლეობის უკმაყოფილება, ამიტომ თუ ასე გაგრძელდა ვფიქრობ, რომ საერთოდ არ დაჭირდება ხალხს არანაირი ოპოზიციის ჩარევა და დაასრულებენ სააკაშვილის რეჟიმს. ახლოვდება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რაც აუცილებლად დასრულდება სააკაშვილის ხელისუფლებისგან ჩამოშორებით. — აცხადებს გიორგი ლალიძე.

# დავით ონოფრიშვილი: „ხელისუფლება სტრატეგიულ ობიექტებს საეჭვო კომპანიებს მიჰყიდის“

შორენა გონგლა ე

სახელმწიფო კანცელარიასთან პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებმა სტრატეგიული ობიექტების გასხვისებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს.თავისუფალი დემოკრატების ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის განცხადებით, ხელისუფლება უკანონოდ ცდილობს ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა წერილზე შესაბამისი პასუხი ჯერჯერობით არ მიუღიათ. ონოფრიშვილის თქმით, იმ ფორმით, რა ფორმითაც ხელისუფლება ცდილობს სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას, მხოლოდ საეჭვო რეპუტაციის კომპანიები შეიძლება დაინტერესდნენ, რაც შემდგომში შესაძლოა სერიოზულ პრობლემებს შექმნის.



დავით ონოფრიშვილი

— ერთი თვის წინ, ირაკლი ალასანიამ მიმართა საქართველოს ხელისუფლდებას და პრემიერ-მინისტრს ნიკა გილაურს, საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გაყიდვასთან დაკავშირებით. ჩვენ ამ წერლზე პასუხი არ მიგვიღია. თავისუფალ დემოკრატებს, ისევე როგორც საქართველოს ყველა მროქალაქეს, გვაინტერესებს, თუ რატომ აპირებს ქვეყნის ხელისუფლება გაყიდოს სტრატეგიული ობიექტები, ისეთი ობიექტები, როგორიცაა საქართველოს რკინიგზა, გაზსადენი, ელექტროსისტემა და სხვა ობიექტები. ან თუნდაც გაიტანოს მათი აქციების ნაწილი სხვადასხვა საერთაშორისო ბირჟებზე. საფონდო ბირჟების დღევანდელი მდგომარეობა არის კრიზისული, ნებისმიერი ობიექტის შეფასება ბირჟებზე არის დაბალი და დღეს არ არის იმის დრო, რომ სტრატეგიული ობიექტების თუნდაც მცირე ნაწილი იქნეს გაყიდული. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მათი პრივატიზება მოხდება ფარულად, ასეთი სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდებაში დაინტერესებული არიან ჩვენი მეზობელი ქვეყნები და ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს საქართველოა ასეთი სტრატეგიული ობიექტები არ უნდა გასხვისდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ხელში ჩაიგდებენ, პრობლემებს შეგვიქმნიან. — აცხადებს ონოფრიშვილი.

მისივე განცხადებით, ხელისუფლება ვალდებულია თავისუფალი დემოკრატების მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხი გასცეს.

— ჩვენ ასევე მოვითხოვთ, რომ პასუხი გაეცეს ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებს, ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ღიად, ჩვენ ბუნებრივია არ ვართ წინააღმდეგი იმისა, რომ საწარმოებში შემოვიდეს ინვესტიციები, რაც უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება, მით უკეთესია, მაგრამ მცირე პაკეტის გაყიდვაში მხოლოდ ერთი რამე ჩანს, რომ მათთვის მთავარია საარჩევნოდ შეავსოს ბიუჯეტი და მოიზიდოს დამატებითი თანხები. არც ერთი სერიოზული ინვესტორი არც რკინიგზის, არც გაზსადენის 15-20 პროცენტს არ იყიდის; აქ შეიძლება მხოლოდ საეჭვო ინვესტორები დაინტერესდნენ. არც ერთი ინვესტორი ასეთ რამეს არ გააკეთებს. თავისუფალი დემოკრატების სახელით ვითხოვთ მთავრობისაგან, რომ გაგვცეს პასუხები იმ შეკითხვებზე, რაც ჩვენ დავსვით.

# ოპოზიცია სტრატეგიული ობიექტების დაცვის გარანტიებს ითხოვს

ნანა მიშელაშვილი

ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად უმრავლესობამ ხმაურიანი საკითხის განხილვა მაინც დაიწყო. საკითხი შეეხება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტს, რომელსაც ოპოზიცია ეწინააღმდეგება.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ხელისუფლების მიერ ზეპირად ნათქვამ სიტყვას არ ენდობა. ფრაქციის ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტების დაცვის მექანიზმების კანონით გამყარებას ითხოვს.

— გასაგებია, რომ პრივატიზაცია აუცილებელია, მაგრამ ეს ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. „ნაციონალური მოძრაობა“ ეძებს შემოსავალს და ამას ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხებით ცდილობს. ჩვენ, ბატონი მელიქიშვილის სიტყვის არ გვჯერა, მათ სიტყვას არავითარი ფასი არ აქვს. ჩვენ გვინდა საკანონმდებლო გარანტიები იმისთვის, რომ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები ჩალის ფასად არ გასხვისდება და ეს ობიექტები ხელში არ ჩაუვარდებათ ქართული სახელმწიფოებრიობის მტრებს, — ამბობს ცაგარეიშვილი.

სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების, წილებისა და აქციების პრივატიზება უცხოურ ბირჟებზე დასაშვები ხდება.

ამ საკითხის გადადება მოითხოვა გუშინ გიორგი თარგამაძის პოლიტიკურმა გუნდმა. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის მტკიცებით, ხელისუფლება ქვეყანას უყურებს არა როგორც სახელმწიფოს, არამედ როგორც შპს-ს.

— საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის გამოკვეთილი სიახლე ისაა, რომ ამ დოკუმენტის თანახმად, რუსეთის ფედერაცია საქართველოს მიმართ მტრული პოლიტიკის მატარებელი ქვეყნის რანგშია



გიორგი ცაგარეიშვილი

აყვანილი და ამ მხრივ, უმრავლესობასა და უმცირესობას შორის აზრთა სხვაობა არ არსებობს. იგივე რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი ტიპის — მოდერნიზებული იმპერიის შექმნის კონცეფცია მომზადდა, რომელიც „ლიბერალური იმპერიის“ კონცეფციის სახელით არის ცნობილი. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთმა საკუთარი იმპერიული ამბიციების განხორციელება სწორედ ეკონომიკური ექსპანსიის მეთოდებით, ადგილობრივი სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შესყიდვით უნდა მოახდინოს და უკვე ამის შემდეგ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გატარებაზე იფიქროს. ვლადიმერ პუტინიც, თავისი გაზის კომპანიით, სწორედ ამ კონცეფციის განმახორციელებელი ფიგურაა, — განაცხადა თარგამაძემ.

თარგამაძე ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ მთელ მსოფლიოში ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი მძვინვარებს და ბირჟებზე აქციების ფასების დაცემის დინამიკა გრძელდება.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის II მოსმენით განხილვისას „ქრისტიან-დემოკრატები“ პარლამენტს სპეციალურ კანონპროექტს შესთავაზებენ, რომლის გათვალისწინებით, სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტის გასხვისება დაუშვებელი იქნება.

საპირისპიროს ამტკიცებს მმართველი პარტია. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილებებით, სახელმწიფო საწარმოებს საშუალება მიეცემათ, მოიზიდონ ინვესტიციები და დაასაქმონ უფრო მეტი ადამიანი.

# ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაასამართლა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ქურდული სამყაროს წევრობისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ განაჩენი გამოიტანა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მინდია ჩხობაძეს, ირაკლი ანდღულაძესა და უჩა ბოლქვაძეს ჩამოყალიბებული ჰქონდათ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. ისინი მონაწილეობას იღებდნენ ქურდულ გარჩევებში და ძალადობის მუქარით ეწეოდნენ გარკვეული პირებისაგან თანხების გამოძალვას.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულებმა კაზინოში მათ მიერ წაგებული ფულის გადახდა ავტომანქანების ბიზნესით დაკავებულ პავლე კრეიდენკოს დაავალეს. დანაშაულებრივი ჯგუფისაგან მუქარისა და იძულების შედეგად, ამ უკანასკნელმა ავტობაზრიდან ნისიად წამოიყვანა მანქანები. მათ რეალიზაციას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები უკეთებდნენ და გაყიდვით აღებულ თანხებსაც ისინი ითვისებდნენ. სულ 80-მდე სხვადასხვა ფირმის ავტომანქანის საფასურის - 830 000 აშშ.დოლარის გადახდა ბაზრის მფლობელებისათვის პავლე კრეიდენკოს მამას მოუხდა.

ამავე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ქურდული გარჩევა მოუწყვეს შპს „ნოვატექნოლოჯის“ რეგიონულ მმართველს გელა გაბაიძეს. მათ იარაღის მუქარით აიძულეს გაბაიძე ვინმე ირაკლისათვის, როგორც „კაი ბიჭისთვის“ გადაეხადა არარსებული ვალი - 150.000 აშშ დოლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისათვის დადებული მსჯავრი სამართლიანად მიიჩნია. სს კოლეგიამ მინდია ჩხობაძეს 21 წლით, უჩა ბოლქვაძეს 19 წლით, ხოლო ირაკლი ანდღულაძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

# სასამართლომ პატიმარს სასჯელი პირობითი მსჯავრით შეუცვალა

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ გ.თ-ს მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა ქურდობა, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქმის მასალების, გ.თ-მ 2011 წლის 27 ივნისს, უკანონოდ შეაღწია ინტერნეტსაიტ „აჭარაბეთი“-ს მომხმარებლის პირად გვერდზე და გვერდის მომხმარებლის პირადი ანგარიშიდან, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ მეშვეობით, ბიძის ა.მ-ს სახელფასო ანგარიშზე უკანონოდ გადარიცხა ქედის რაიონში მცხოვრები ნ.კ-ს ანგარიშზე არსებული ფულადი თანხა, რითაც ამ უკანასკნელს 400 ლარის ოდენობის ზარალი მიადგა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გ.თ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, მას რეალური სასჯელი, 4 წლითა და 6 თვით პირობითი მსჯავრით შეეცვალა და დამატებით, დაეკისრა 5000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა.

# „სახალხო კრება“ დიპკორპუსს ხელისუფლებაზე ზეწოლისკენ მოუწოდებს

„სახალხო კრება“ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს ხელისუფლებაზე საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერებისაკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ განცხადება „სახალხო კრების“ თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილმა გუშინ ცაგარელის ქუჩზე, „სახალხო კრების“ დალუქულ ოფისთან გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— „სახალხო კრების“ ოფისი კვლავ უკანონოდაა დალუქული. ჩამოგვართვეს ავტომობილები, აპარატურა და ტექნიკური საშუალებები, — განაცხადა გაფრინდაშვილმა და დასძინა, რომ ხელისუფლების მხრიდან “სახალხო კრებაზე“ ზეწოლა გრძელდება, რისი მაგალითიც „ქართველი ემიგრანტების“ თავმჯდომარის, ზვიად ყუშიტაშვილის გატაცების ფაქტია.

მისი თქმით, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა ხელისუფლებაზე ზეწოლა უნდა გააძლიერონ, რათა „სახალხო კრებას“ ნორმალურად ფუნქციონირების საშუალება მიეცეს.

რაც შეეხება „სახალხო კრების“ გეგმებს, მისი თავმჯდომარის განცხადებით, კრების წევრები დანებებას არ აპირებენ და ბრძოლას აუცილებლად გააგრძელებენ.

— „სახალხო კრება“ ძალას იკრებს და ქვეყნის გადასარჩენად ბრძოლას აგრძელებს, — განაცხადა მან.

**მედიანიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: „ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას დემოკრატიული მეთოდით გავაგრძელებთ“

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას ყველანაირი ცივილური და დემოკრატიული მეთოდებით გააგრძელებენ.

„სახალხო კრების“ ცენტრალური ოფისის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მათზე თბილისსა და რეგიონებში ტერორი ხორციელდება, რის გამოც მუშაობის საშუალება არ ეძლევათ. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ამ დრომდე „სახალხო კრების“ სათავო ოფისი პატრონს არ დაბრუნებია.

ბურჯანაძის განცხადებით, ყველა კანონდარღვევის შესახებ ინფორმაციის სტრასბურგის სასამართლომდე მიტანას აპირებს. თუმცა, მანამდე, მისი თქმით, ხელისუფლების შეცვლას უნდა მიაღწიონ.

— ბრძოლა არ შეგვიწყვეტია, უბრალოდ სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მოქმედებებია საჭირო. ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას ყველა ცივილური და დემოკრატიული მეთოდით გავაგრძელებთ. მალე მივაღწევთ, რომ ქართულმა სასამართლომ გაასამართლოს ის ადამიანები, რომლებიც ამ დამნაშავე, დიქტატორული რეჟიმის შესაცვლელად იბრძვიან, — განაცხადა ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# 2012 წელი ქართველი დიპლომატებისთვის ძალიან მძიმე იქნება

**ნათია ხურცილავა**

უცხოეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელები მინისტრებთან სამუშაო შეხვედრებს განაგრძობენ. გუშინ გამართულ ამბასადორიალზე მთავარი სტუმარი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

საქართველოს ელჩებთან ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ აუდრონიუს აჟუბალისმა, საქართველოში ძირითადად ეუთოს მისიის აღდგენის შესაძლებლობებზე ისაუბრა.

ლიტვა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყანაა. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუდრონიუს აჟუბალისმა მნიშვნელოვანი შეხვედრა თავის ქართველ კოლეგასთან გრიგოლ ვაშაძესთან გამართა.

შეხვედრის შემდეგ მინისტრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, შეხვედრაზე განხილვის მთავარი საკითხი საქართველოში ეუთოს მისიის დაბრუნების შესაძლებლობა იყო.

ეუთო კონსენსუსზე დაფუძნებული ორგანიზაციაა. ამდენად, რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველოში ეუთოს მისიის მოქმედება დაბლოკილია.

— ლიტვა საქართველოს უპირობო და მტკიცე მხარდამჭერია იმ გზაზე, რაც გასავლელი გვაქვს ერთი მხრივ დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე, მეორე მხრივ კი, ევროკავშირისა და ნატოსკენ. შეხვედრაზე განვიხილეთ არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობები, არა მხოლოდ საქართველოს პროგრესი, რაც ნატოსთან და ევროკავშირთან მიმართებაში გვაქვს, არამედ ძალიან სერიოზულად, დეტალურად განვიხილეთ ეუთოს საკითხი. მათ შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებები. საქართველოში ეუთოს მისიის დაბრუნების შესაძლებლობა და გზები, — განაცხადა ვაშაძემ.

აჟუბალისის განცხადებით, ვენაში მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც ეუთოს სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას ნაწილობრივ მაინც განახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე.

კითხვაზე, შეიცვლება თუ არა ეუთოს მოქმედების წესები წევრი ქვეყნის მიერ ამა თუ იმ საკითხის დაბლოკვასთან დაკავშირებით, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე ასე პასუხობს:

— არ ვაპირებ დებატებში შესვლას თუ რა ახალი წესები შეიძლება იყოს შემოღებული. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეუთო არის ორგანიზაცია, რომელიც კომპრომისებზე არის დამყარებული. ზოგჯერ ეს ეხმარება ამ ორგანიზაციას, საქართველოს შემთხვევაში გულდასაწყვეტია, რომ ეუთოს მისიის დაბლოკვა მოხდა, რაც არც ერთი ქვეყნისთვის არ არის კარგი, — ამბობს აჟუბალისი.

ეუთოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პაატა გაფრინდაშვილის განცხადებით, საუბარია პროექტებზე, რომელიც სასარგებლო იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის. თუმცა, გაფრინდაშვილი იქვე აკონკრეტებს, რომ მსგავსი პროექტების შექმნასაც კონსენსუსი სჭირდება, რაც ზოგჯერ გამოდის, ზოგჯერ კი არა.

— სამწუხაროდ, რუსეთის მიერ მისიის დაბლოკვის გამო ვერ ხერხდება ეუთოს მისიის აღდგენა, მაგრამ რა თქმა უნდა, ვენაში არ წყდება მუშაობა ჩვენს პარტნიორებთან. თუ სრულმასშტაბიანი მისიის აღდგენა ვერა, რაღაც სახით ხანდახან საქართველოსთვის, მისი მოსახლეობისთვის, სადაც იგულისხმებიან აფხაზები და ოსები, სასარგებლო პროექტები განხორციელდება. სწორედ ამ მიზნით მიმდინარეობს დიალოგი ვენაში. რა პროექტებზეა საუბარი, ნათელი რომ იყოს, მაგალითად, საუბარია ისეთ პროექტზე, რომელიც ნიქოზში განხორციელდა, — განაცხადა პაატა გაფრინდაშვილმა.


გრიგოლ ვაშაძე

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა დახურულ შეხვედრაზე განხილულ საკითხებზე ისაუბრა.

— ჩვენ ვისაუბრეთ ვარშავის სამიტზე აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხზე. ევროკავშირის წევრ კოლეგებთან აქტიურად ვმუშაობთ, რომ ისინი დავარწმუნოთ, რათა შინაარსობრივი დეკლარაციები იქნას მიღებული. ჩვენ არ გვჭირდება ცარიელი დეკლარაციები, — განაცხადა აჟუბალისმა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე ისაუბრა ევროკავშირთან წარმოებულ სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ წარმოებულ დიალოგზე.

— ევროკავშირთან სავიზო დიალოგი შედგა. ევროკავშირთან მიმდინარე პროცესს ოპტიმისტურად ვუყურებთ. ევროკავშირთან მიმართებაში საქართველო სწორ გზაზე დგას. ამით გახდება ნათელი, სად დგას საქართველო, ბრიუსელის თუ სინგაპურის მხარეს, — აცხადებს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობა კვლავ გრძელდება საქართველოს ტერიტორიაზე. დღეს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უსაფრთხოების ერთადერთი გარანტორია.

თორნიკე გორდაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:

— ევროკავშირის მისიის გაგრძელება პოზიტიური მოვლენაა, რომელსაც მივესალმებით. ეს არის არა მხოლოდ ქართული დიპლომატიის გამარჯვება, არამედ ევროკავშირის დიპლომატიის გამარჯვება, რადგან მსგავსი მისიები ევროკავშირს ბევრი არა აქვს. ეს გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული, რაც პოზიტიური მოვლენაა თავად ევროკავშირისთვისაც, რაც აჩვენებს მის დიდ როლს ჩვენი უსაფრთხოების საქმეში. სამწუხაროდ, ევროკავშირი სრულად ვერ ახორციელებს მანდატით მინიჭებულ როლს, რადგან რუსეთი არ აძლევს უფლებას, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადავიდეს და იქ მოახდინოს დაკვირვება. იმედი გვაქვს, რომ ეს მისია ამას ადრე თუ გვიან შეძლებს. ევროკავშირის მისიის მუშაობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენ ვთქვათ, საქართველო პირნათლად ასრულებს ექვსპუნქტიან შეთანხმებას.

საქართველოს წარმომადგენელმა ევროკავშირში ევროკავშირის მისიის გაგრძელებაზე ისაუბრა. მისი თქმით, ევროკავშირი საქართველოს უსაფრთხოების გარანტორის ფუნქციას ისევ ასრულებს.

— დღეს ევროპაში მიმდინარე პროცესების ფონზე, ზოგადად მიმდინარეობს საუბარი იმაზე, რომელი მისიების შენარჩუნება არის მიზანშეწონილი, რადგან ეს ფინანსური თვალსაზრისით მძიმე ტვირთად აწევს ევროპას, მაგრამ მიუხედავად ყველა პრობლემისა, მათ შორის მიუხედავად იმისა, რომ არიან ძალები, რომლებიც აქტიურად ლობირებდნენ ევროკავშირის მისიის ცვლილებას ან შეწყვეტას, ევროპამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მისიის გაგრძელების შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ ევროპა კვლავაც აგრძელებს საქართველოში უსაფრთხოების გარანტის როლის თამაშს, — გვითხრა სალომე სამადაშვილმა, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ევროკავშირში.

პრეზიდენტმა ელჩებთან შეხვედრაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიპლომატიური კორპუსის მუშაობა შეაფასა.

როგორც მინისტრმა ვაშაძემ განაცხადა, ელჩებმა ახალი დავალებები მიიღეს პრეზიდენტისგან.

როგორც გაირკვა, მიხეილ სააკაშვილმა ელჩებს ახალი დავალება მისცა. ის დიპლომატებისგან მუშაობის ხარისხობრივად სხვა დონეზე გადასვლას ითხოვს.

როგორც ცნობილია, საუბარია არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო პირებთან ურთიერთობებზე, არამედ ინვესტიციების მოზიდვაზე, ასევე უფრო ხშირ კონტაქტზე საზოგადოების წარმომადგენლებთან და ჩვენი ქვეყნის სახელის უფრო მეტი ინტენსივობით გატანაზე უცხოეთში.

— პრეზიდენტი აფასებდა ჩვენს მუშაობას. სამინისტროსა და ტიპლომატიური სამსახურების მუშაობის დონე დადებითად შეაფასა. თუმცა, ყურადღება გაამახვილა ძალიან მძიმე გამოწვევებსა და პრობლემებზე, რომელიც გვექნება 2012 წელს. გვთხოვა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელიდან, ატაშემდე დამთავრებული, თავის თავში მონახოს რესურსები იმისთვის, რომ ხარისხობრივად სხვა დონეზე გადავიდეს ჩვენი მუშაობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტი უკმაყოფილო იყო, მაგრამ მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტი, ხალხი, ქვეყანა კმაყოფილი იქნება თუ ჩვენ 2012 წელს ისევ იმ დონეზე დავრჩით, რომელზეც ვართ. პრეზიდენტთან პროტოკოლური შეხვედრა არ ყოფილა, ცალ-ცალკე გაესაუბრა ელჩებს. კარგად იცნობს საელჩოებისა და მისიების მუშაობის დეტალებს. გაესაუბრა ეკონომიკურ მიღწევებზე, როგორ ვითარდება ვაჭრობა ქვეყნებს შორის, რა პროგრესი არის ქართულ ექსპორტში, რა არის მოსალოდნელი საერთაშორისო ორგანიზაციებში. სასარგებლო შეხვედრა იყო, — განაცხადა ვაშაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, 2012 წელი მძიმე წელი იქნება ქართული დიპლომატიისთვის, თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია რა იგულისხმა.

— 2012 წელი ძალიან მძიმე იქნება ქართული დიპლომატიისთვის. ბევრი ამოცანა არის გადასაწყვეტი, ამ ამოცანების გადაჭრას გაორმაგებული ძალები სჭირდება, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

# „ქუთაისის მეორე საპყრობილეში დასჯის ახალი მეთოდი შემოიღეს“

**გულიკო ბალაშვილი**

ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლების აქტს აღარ იყენებს.

რატომ აღარ იყენებს „აქტიროვკას“ ხელისუფლება და რა საფრთხის წინაშე არიან პატიმრები, ამ თემაზე გიორგი თევზაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

გიორგი თევზაძე:

— „აქტიროვკა“ მძიმედ დაავადებული პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლებას ითვალისწინებს. მაინტერესებს რატომ შეიცვალა ეს მიდგომა? რევოლუციის შემდეგ პატიმრებს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ათავისუფლებენ. სატუსაღოები სავსეა მძიმედ დაავადებული პატიმრებით. აქედან პატიმართა 80% ტუბერკულოზით არის დაავადებული, ხოლო დანარჩენი პატიმრები სხვადასხვა ინფექციური დაავადებებით. იმის გამო, რომ დაავადებული და ჯანმრთელი პატიმრები არ გამიჯნეს, ჯანმრთელი პატიმრებიც დაავადდნენ, ასეთი ბედი ეწია განსასჯელ წიკლაურსაც.

— იოსებ წიკლაური მძიმედაა დაავადებული. რატომ არ არის შესაძლებელი ასეთი კატეგორიის პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლება?

— ასეთი კატეგორიის პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია — სასამართლოს შეუძლია პატიმრის გათავისუფლება, თუნდაც სასჯელის გადავადება, მაგრამ მას შეგნებულად განმეორებით ექსპერტიზის დასკვნასაც კი არ აძლევენ. ბევრ შემთხვევაში სასამართლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პოზიციას იზიარებს და პატიმარს არ ათავისუფლებენ.

მაგალითად, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თამაზ კეკელია, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია, სასამართლომ არ გაათავისუფლა. დღეს მისი საქმე გასაჩივრებულია სტრასბურში. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, პატიმარი კეკელია გათავისუფლებას ექვემდებარება. დასკვნის მიხედვით პატიმრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა შეუსაბამოა პატიმრობასთან. იმდენად მძიმედაა პატიმარი, რომ არ მინდა ვთქვა, თითქმის მომაკვდავია-მეთქი, მაგრამ შესაძლებელია ყველაფერი ფატალური შედეგით დამთავრდეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელიც პატიმარ კეკელიას სასამართლოს ესწრებოდა, არ დაეთანხმა პატიმრის დროზე ადრე გათავისუფლებას იმიტომ, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მისი გათავისუფლების გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა. სასამართლოსთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პოზიცია უფრო წონადი აღმოჩნდა, ვიდრე ექსპერტიზის დასკვნა. რა საჭიროა მაშინ ექსპერტიზის დასკვნა ან ექსპერტები, თუკი მათ დასკვნას არ გაითვალისწინებენ? საინტერესოა, პატიმარი კეკელია ან წიკლაური რა საფრთხეს წარმოადგენს ხელისუფლებისთვის?

— „აქტიროვკა“, ანუ ჯანმრთელობის მდომარეობის გაუარესების გამო დროზე ადრე გათავისუფლება რატომ აღარ ხდება, არ გეუბნებიან?

— რევოლუციამდე აქტიურად მოქმედებდა „აქტიროვკა“, რევოლუციის შემდეგ კი, ციხეებში რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა და პატიმრები სასიკვდილოდ ჰყავთ გამეტებული — ავადმყოფ პატიმრებს აღარ ათავისუფლებენ.

— ხომ არის დადგენილი, ვის ეხება შეწყალების აქტი?

— პირველ რიგში, შეწყალება მძიმედ დაავადებულ პატიმრებს უნდა შეეხოს და მერე კი მათ, ვინც ნახევარზე მეტი სასჯელი მოიხადა. პატიმარს აქვს უფლება იყოს დაცული, იცხოვროს ნორმალურ პირობებში და არა ისეთში, როგორშიც დღეს არიან. დღევანდელ ციხეებში ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებულ პატიმრებს სცემენ, მათი უფლებები ყოველდღე ილახება.

— დაავადებულ პატიმრებს სცემენ, რა არის ამის მიზეზი?

— ამის მიზეზი ზოგჯერ შეიძლება იყოს ხმამაღლა საუბარი. ხან რა მიზეზით სცემენ და ხან რა ხდება მათი დამცირებისა და შევიწროების მიზეზი. ამის შესახებ პატიმრების ახლობლები გვატყობინებენ, მაგრამ რა? უფლებადამცველები ვსაუბრობთ, მაგრამ ვინ გისმენს! სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ისეთი პოზიცია უჭირავს, თითქოს ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის. ქუთაისის მეორე საპყრობილეში დასჯის ახალი მეთოდი შემოიღეს, თუკი რომელიმე პატიმარი ვერ მოასწრებს ერთი საწოლიდან მეორე საწოლთან დროულად მისვლას, მთელ საკანში პატიმრებს რამდენიმე საათი მუხლებზე აქოჩებენ. ზუგდიდის ციხეში კი 2 საათიანი პაემანი 25 წუთამდე ჩამოიყვანეს. გარდა ამისა, პატიმარ ნუგზარ თაბაგარს, რომელსაც 9 წელი ჰქონდა თავიდან მისჯილი, მოხდის შემდეგ ისევ დაუმატეს და ამჟამად 43 წელი აქვს მისჯილი.

პატიმარს ციხის ადმინისტრაციამ ცემისაგან თვალი დაუზიანა და გადაუდებელი ოპერაცია ესაჭირეობა. პატიმრის ახლობლებმა ამის შესახებ ციხის მთავარ ექიმს და დირექციას არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

ახლახან ციხის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა პატიმარი თაბაგარი უბრალოდ გადაეყვანათ სამკურნალო დაწესებულებაში, მაგრამ ოპერაციის გაკეთებაზე უარი უთხრეს.

მე ვეკითხები სასჯელაღსრულების მინისტრ ქალბატონ ხათუნა კალმახელიძეს, რატომ არ აინტერესებს რა ხდება საპატიმროებში? ვფიქრობ, ან მართლა არ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ირაკლი სესიაშვილი: „სარკოზის და რასმუსენის ვიზიტი კონკრეტულ შემოთავაზებას უკავშირდება“

9 ნოემბერს საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ეწვევა. ნატოში საქართველოს წარმომადგენლის, გრიგოლ მგალობლიშვილის განცხადებით, ნატოს დელეგაცია ქვეყანას გაფართოებული შემადგენლობით ესტუმრება. ეს კი იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. როგორც ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განუცხადა, მთავარია, ნატოს წარმომადგენლე-




ბი ადგილზე დარწმუნდნენ იმაში, თუ რამდენად სწრაფად ვითარდება ჩვენი ქვეყანა და რამდენად შეესაბამება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებს ქართული დემოკრატიული რეფორმები, ეკონომიკური მონაცემები, სამხედრო ბიუჯეტი და საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში.

არის თუ არა საქართველოს №1 დიპლომატის მიერ ჩამოთვალილი კომპონენტები ნატოს სტანდარტების შესაბამისი და რას ნიშნავს საქართველოსთვის ამ შემოდგომაზე რასმუსენისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტები? ამ საკითხზე „მედიანიუსი“ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა:

— ბატონო ირაკლი, შეესაბამება თუ არა საქართველოში არსებული ვითარება ნატოს სტანდარტებს და როგორ ასრულებს ქვეყანა ნაკისრ ვალდებულებებს?

— საქართველოში არსებული დემოკრატიული ფონი რომ მისაღები არ არის არც ჩვენთვის და არც საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ამას ბოლო საერთაშორისო დასკვნებიც ადასტურებს, სადაც პირდაპირ არის საუბარი საქართველოში დიქტატურის განვითარების საფრთხეების შესახებ. იქ ასევე, ლაპარაკია ადამიანის უფლებების უხეშ უგულვებელყოფაზე. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ე.წ. დემოკრატიული რეფორმები პირდაპირ შეგვიძლია ბრჭყალებში ჩავსვათ. ჩვენი ხელისუფლების სტილია, რომ თავისი საქმიანობა მხოლოდ დადებით ჭრილში განიხილოს. მთავრობის წევრები ძირითად ვირტუალური საქართველოს შექმნითა და საკუთარი თავის ქებით არიან დაკავებული. თუ, როგორც საქართველოს ხელისუფლება ამბობს, ყველაფერი კარგად არის ჩვენს ქვეყანაში, დემოკრატიაც ჰყვავის და ყველა კომპონენტი სწორად ვითარდება, მაშინ ძალიან ადეკვატური კითხვა ჩნდება - რატომ არ გვიღებენ ნატოში? არ გვიღებენ იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის, თუ რა ვითარებაა ქვეყანაში და რა საფრთხეები არსებობს. დასავლეთი იმასაც კარგად ხედავს, რომ საქართველოში არასტაბილური ვითარებაა ყველა სფეროში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ნატოსთან გაფორმებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დახურული დოკუმენტია, ჩვენ არ ვიცით, რა ტიპის რეფორმების განხორციელებაზე იღებს პასუხისმგებლობს საქართველო ნატოს წინაშე. ასე რომ, ქართული მხარის მიერ ნაკისრი ვადლებულებების შესრულების ხარისხს ვერ შევაფასებთ. ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ ზოგადად, ქვეყანაშია არსებული ვითარება, რომელიც მე მივიჩნევ, რომ კრიტიკულად რთულია. იმედი მქვს, რომ ნატოს მხრიდან იქნება არსებული რეალობის ობიექტური შეფასება და არ იქნება მოჩვენებითი მიდგომა ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში.

— რაც შეეხება რასმუსენისა და სარკოზის საქართველოში დაგეგმილ ვიზიტებს, საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში ინტეგრაციის საქმეში არის თუ არა ეს პოზიტიური სიგნალი?

— როგორც წესი, ნატოს გენერალური მდივანი ცდილობს მოინახულოს ყველა ის ქვეყანა, რომელიც არის ჩართული ნატოსთან ინტეგრაციის პროცესში. ამიტომ აქ არაფერი გასაკვირი არ არის. მითუმეტეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ძალიან აქტიურად მონაწილეობს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში და რასმუსენს საკმაოდ დიდი საბაბი აქვს იმისათვის, რომ თბილისში ჩამოვიდეს და ამისათვის მადლობა გადაგვიხადოს. გარდა ამისა, ვახსენე ყოველწიური სამოქმედო გეგმა და ცხადია, რომ პერიოდულად საჭიროა ამ გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით უმაღლესი პირების შეხვედრები და ალბათ არის კიდევ ის დახურული თემები, რომელზეც ისინი საჯაროდ არ ისაუბრებენ. ეს პირველ რიგში, შეეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს. მეჩვენება, რომ ბოლო პერიოდში ამ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული გეგმები განიხილება; აქ შეიძლება მოვიხსენიოთ სარკოზის მიერ თბილისში დაგეგმილი ვიზიტი. საფრანგეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი, ჩემი აზრით, რაღაც კონკრეტულ შემოთავაზებას უნდა უკავშირდებოდეს ჩემ მიერ ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ვიზიტი მხოლოდ პიარ-კამპანიის ნაწილად შეიძლება შეფასდეს. საუბარია

სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის შეთანხმებაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესრულებული. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით სარკოზი კრემლში სხვა განცხადებას აკეთებს და სავარაუდოდ, თბილისში სხვა განცხადებას გააკეთებს. სარკოზი გრძნობს, რომ მას ამ შეუსრულებელ შეთანხმებასთან დაკავშირებით გარკვეული პოლიტიკური ტვირთი აწევს, სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ იგი აქ კონკრეტული შემოთავაზებით ჩამოვა. ცხადია, იგი ამაზე ღიად არ ისაუბრებს. ამავე კონტექსტში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტსაც ვახსენებდი.

— ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაზეც თქვენ ბრძანეთ, რა პერსპექტივა რჩება საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად?

— არ მინდა, რომ თქვენს მკითხველს რადიკალად მოვეჩვენო, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების პერსპექტივები არ არსებობს. ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე ღრმად შეტოპა არადემოკრატიულ გარემოში. მათი დემოკრატიულ რელსებზე დაბრუნება კი პრაქტიკულად შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება ამ ხელისუფლებისთვის უკვე პოლიტიკური რისკების შემცველია. თუ არ იქნება დემოკრატია და არ დაკმაყოფილდება სამი ძირითადი კომპონენტი, რაც მდგომარეობს სტაბილური დემოკრატიის შექმნაში, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებასა და კონფლიქტებთან მიმართებაში გამოკვეთილ სამშვიდობო პოლიტიკის წარმოებაში, ჩვენ ნატოს კარს ვერ გავაღებთ. შესაბამისად, ჩვენი ნატოში გაწევრიანება ამ ხელისუფლების პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

**მედიანიუსი**

# ცრუ დასმენა

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების გ.ა-ს და ც.ლ-ს მიმართ, რომელთაც ბრალად ედებოდათ ცრუ დასმენა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2011 წლის 29 მაისს, საღამოს საათებში, სოფელ ხელვაჩაურში მცხოვრებმა ა.ი-მ, რომელიც მეუღლესთან ერთად იმყოფოდა, გადაწყვიტა, უსაფთხოების მიზნით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გ.ა, თავისივე ავტომანქანით მიეცილებინა საკუთარ სახლამდე.

სახლში მისვლისთანავე, გ.ა-მ მანქანის გასაღები მოითხოვა, იმ მოტივით, რომ ბათუმის დასასვენებელ პარკში სურდა გასეირნება, რაზედაც კატეგორიული უარი მიიღო ა.ი-სგან, მათ შორის სიტყვიერი კამათი გაიმართა და, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა „დაეთმო“ მანქანის გასაღები პატრონისათვის და თავად მეუღლესთან ერთად ფეხით დაბრუნებულიყო შინ.

შექმნილი მდგომარეობით განაწყენებული გ.ა ჩაჯდა კუთვნილ ავტომანქანაში და საცხოვრებელი სახლის ეზოდან დიდი სიჩქარით მიმავალი დაეჯახა ა.ი-ს მეუღლეს მ.ჩ-ს, რომელიც ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს მიღებული ტრავმის გამო.

გ.ა-მ მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, საკუთარ მეუღლესთან ც.ლ-სთან შეთანხმებით, 2011 წლის 30 მაისს,დააზიანა კუთვნილი ავტომანქანის წინა და უკანა საქარე მინები და აჭარის საპატრულო პოლიციის სამსახურში განახორციელეს ცრუ დასმენა, თითქოს ავტომანქანის საქარე მინები ა.ი-მ დააზიანა.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო გ.ა-სა და ც.ლ-ს ბრალი დაედოთ ცრუ დასმენაში. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ორივე მათგანმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და ორივეს 2 წლით პირობითი მსჯავრი და 2000 ლარიანი ჯარიმა მიუსაჯა.

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

**საქართველოს სახელით**

**ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების (ცნობის) გამოქვეყნების თაობაზე**

**საქმე №2/9384-11** **29 აგვისტო, 2011 წელი ქ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე ანჟელი ხუროძე**

**განმცხადებელი** — შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტი

**მოთხოვნის არსი** — ქონების უპატრონოდ ცნობა

სასამართლომ განიხილა ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების (ცნობის) გამოქვეყნების საკითხი და

***სარეზოლუციო ნაწილი:***

***სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-339-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და***

***დ ა ა დ გ ი ნ ა :***

**1.** გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა), შემდეგი სახით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე ანჟელი ხუროძე) წარმოებაშია №2/9384-11 სამოქალაქო საქმე, შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია SZDU336756-1-20* მდებარე №6 ნავმისადგომში, ARKU210041-0-20* მდებარე №7 ნავმისადგომში, DDTU254478-6-20* მდებარე სანავსადგურო ფლოტის ტერიტორიაზე LZDU379521-4-20* მდებარე №7 ნავმისადგომში, MMMU301472-7-20* მდებარე №7 ნავმისადგომში, ***279682-8-20* მდებარე სანავსადგურო ფლოტის ტერიტორიაზე, ***047230-20* მდებარე სანავსადგურო ფლოტის ტერიტორიაზე, SEAU407764-2-40* მდებარე №6 ნავმისადგომში, SEAU40556-1-40* მდებარე №6 ნავმისადგომში, SEAU460119-5-40* მდებარე №13 ნავმისადგომში, SEAU406356-7-40* მდებარე №6 ნავმისადგომში, TRIU560287-3-40* მდებარე №7 ნავმისადგომში, TRIU43035-0-40* მდებარე №7 ნავმისადგომში, GSTU739365-1-40* მდებარე №14 ნავმისადგომში, LUTU200732-7-40* მდებარე №7 ნავმისადგომში, ICSU167567-6-40* მდებარე №7 ნავმისადგომში, CRXU434924-1-40* მდებარე №4 ნავმისადგომში, SEAU406547-2-40* მდებარე №6 ნავმისადგომში.

**იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.**

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.

2. საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს გაზეთ ,,ახალ თაობაში“.

3. განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე ანჟელი ხუროძე**

# ბაქრაძე ქართველი დიპლომატებისგან მეტ აქტიურობას ითხოვს

## რუსეთს ევროპის აზრის გათვალისწინება მაინც მოუწევს

*ნათია ხურცილავა*

პარლამენტის თავმჯდომარე დიპლომატიური კორპუსიის მუშაობას აფასებს. როგორც ბაქრაძე აცხადებს, მნიშვნელოვანია ელჩებმა თავიანთი საქმიანობა იმ ქვეყნებში, სადაც მივლინებული არიან,გაორმაგებული ძალებით შეასრულონ.

პარლამენტის თავმჯდომარემ დიპლომატების წინაშე დაკისრებულ მოვალეობებზეც ისაუბრა, რომელიც მათ მომდევნო წლიდან მოუწევთ.

დავით ბაქრაძე, პარლამენტის თავმჯდომარე:

— დღეს დიპლომატიას რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს შესასრულებელი. ეს ის ამოცანებია, რომელზეც პირდაპირ არის დამოკიდებული საქართველოს სტაბილურობა და მისი უსაფრთხოება; ეს ამოცანებია ქვეყნისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, დეოკუპაციის პროცესის ხელშეწყობა, მეტი ინვესტიციების და მეტი ინვესტორების შემოყვანა ქვეყანაში. ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება საქართველოს შიდა სტაბილურობაზე, განვითარებაზე. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ელჩებს ჰქონდეთ ადეკვატური და სრული ხედვა იმაზე, თუ როგორ ვითარდება საქართველო და რა არის ჩვენი შიდი განვითარების პრიორიტეტები.

პარლამენტის თავმჯდომარემ კომენტარი კრემლში მომხდარ სკანდალზეც გააკეთა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დევიდ კემერონის განცხადების ნაწილის სტენოგრამა, რომელიც საქართველოს ეხებოდა, კრემლის მესვეურებმა ამოიღეს, თითქოს საქართველოს შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა არც ისაუბრა.

— დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ დადო პირობა, რომ ის საქართველოს საკითხზე აუცილებლად ისაუბრებდა მოსკოვში ვიზიტის დროს. მოხარული ვარ, რომ მან ეს პირობა შეასრულა. ეს თემა დაფიქსირდა, როგორც ფუნდამენტური განსხვავება რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის. კომიკურია ის ფაქტი, თუ რა გზით შეეცადნენ რუსები პრობლემის მოგვარებას, როდესაც მათ სტენოგრამის ნაწილი გადამალეს, ამოიღეს. ასეთი მეთოდებით პრობლემები ვერ გვარდება. ყველა მაღალი დონის შეხვედრაზე საქართველოს საკითხი ფიქსირდება, როგორც ფუნდამენტური განსხვავება რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ადრე თუ გვიან, რუსეთი იძულებული იქნება გაითვალისწინოს მსოფლიო თანამეგობრობის აზრი. აზრის გათვალისწინება ნიშნავს არა სტენოგრამის დამალვას, არამედ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებას, ჯარის გაყვანას და პოლიტიკური დიალოგის დაწყებას, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

# შაშკინი სოფელ სანიორეში სკოლის დახურვას არ აპირებს



განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სოფელ სანიორეში სკოლის დახურვის გეგმას უარყოფს, — ამის შესახებ მინისტრმა განათლებისა და მეცნირებისა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, სკოლა არ დაიხურება, ხოლო სპარლამენტო ოპოზიციას, კერძოდ კი, „ქრისტიან-დემოკრატებს“ ურჩია, რომ გავრცელებული ჭორები პირადად მასთან გაადამოწმონ ხოლმე. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სანიორეს სკოლის მოსალოდნელი დახურვის შესახებ განცხადება „ქრისტიან-დემოკრატმა“ დეპუტატმა ნიკა ლალიაშვილმა გააკეთა.

**ინტერპრესნიუსი**

# საგარეჯოს რაიონში წმინდა ფშანის სამლოცველო აღმოაჩინეს

საგარეჯოს რაიონში, ივრის ჭალის სამონადირეო კომპლექსის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის მე-13-14 საუკუნეების საკულტო ძეგლი, წმინდა ფშანის სამლოცველო აღმოაჩინეს, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

— წყაროს გარშემო არის ძალიან ბევრი შესაწირი მასალა. უამრავი ქოთნები და სავარაუდოდ, ამ ქოთნებში იყო ღვინო. აღმოჩენილია ისეთი ჭურჭელი, რომელსაც ეწოდება მარანი, სითხის რამდენიმე გადმოსასვლელი აქვს და სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ ამ დროში იყო ღვინის წარმოება. აღმოჩნდა ასევე ადამიანის ძვლები და საქონლის კბილი. ალბად საქონელიც არის აქ შეწირული, — აღნიშნა არქეოლოგმა კოტე ფიცხელაურმა. სპეციალისტები მიმდებარე ტერიტორიაზე უნიკალური ნივთების აღმოჩენას კიდევ ვარაუდობენ.

**მედიანიუსი**

# „ქუთაისის მეორე საპყრობილეში დასჯის ახალი მეთოდი შემოიღეს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

აინტერესებს, ან მართლა არ იცის რა ხდება ციხეებში. იქნებ რასაც ამბობენ პატიმრების ოჯახის წევრები, სიმართლეა და ამიტომაც არ გვაძლევენ უფლებადამცველებს ციხეებში შესვლის და იქ მონიტორინგის განხორციელების უფლებას. ციხე გამჭვირვალე უნდა გახდეს.

— საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები ყოველთვის შემაშფოთებელ დასკვნებს აკეთებდნენ ქართული ციხეების შესახებ, დღეს რატომ არიან გაჩუმებული?

— დასკვნები დღესაც აქვთ, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს. ჩვენი ხელისუფლება ციხეების აშენებით იწონებს თავს. ამ დროს ციხეებში პატიმრებს სცემენ და აწამებენ. მძიმედ დაავადებული განსასჯელები ციხეებში იტანჯებიან. ეს არის ქართული ციხეების სამწუხარო რეალობა.

## გილაური მთავრობაში დაგეგმილ საკადრო ცვლილებებს არ ადასტურებს


ნიკა გილაური

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ირწმუნება, რომ მთავრობაში დაგეგმილი მორიგი საკადრო ცვლილებების შესახებ საქმის კურსში არაა.

როგორც გილაურმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, მას ამის შესახებ ჯერ არაფერი სმენია.

— ამის შესახებ არაფერი მსმენია და ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, დიდი ბოდიში, — აღნიშნა პრემიერმა.

ამ საკითხზე გუშინ ანალოგიური პოზიცია პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დააფიქსირა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, ახალ პოლიტიკურ სეზონზე პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის თანამდებობიდან გათავისუფლება იგეგმება, ხოლო მის ადგილზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლეიშვილი ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია მოიაზრებიან.

ამასთან, მთავრობაში არც სხვა საკადრო ცვლილებებს გამორიცხავენ. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, დაგეგმილია სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელისა და გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძის თანამდებობიდან გათავისუფლება, ასევე თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას სამაგრელოს გუბერნატორად გადაყვანა.

**პირველი**

## ერდოღანი: არაბული ქვეყნები ვალდებულები არიან, პალესტინა აღიარონ

თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, არაბული ქვეყნების მიერ პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარება არა ერთ-ერთი განსახილველი ვარიანტი, არამედ ვალდებულობაა.

მან ეგვიპტეში მიმდინარე არაბული ლიგის შეხვედრაზე განაცხადა, რომ ერთი წლის შემდეგ მსოფლიო პალესტინს სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში იხილავს. მანვე ისრაელს ახალი ბრალდება წაუყენა და განაცხადა, რომ ისრაელი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას ხელს უშლის.

როგორც ცნობილია, პალესტინელები ამზადებენ გაეროში წარსადგენ დოკუმენტს და მოითხოვენ პალესტინის გაეროს წევრ სახელმწიფოდ დაფიქსირებას. ამ გადაწყვეტილების მიღებას აშშ და ისრაელი ეწინააღმდეგებიან.

**მედიანიუსი**

## ბაქოში „ევროვიზია – 2012“-ზე დასწრება 1600 აშშ დოლარი ჯდება

„ევროვიზია - 2012“-ზე დასწრება აზერბაიჯანის ტურიზმის ასოციაციის მიერ შემოთავაზებული ტურის მეშვეობით 1600 აშშ დოლარი ჯდება იუწყება „აპა-ეკონომიქსი“.

ამ ტურში შედის თვითმფრინავის ბილეთი, სამვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება და ევროვიზიის კონცერტის ნახევარფინალსა და ფინალზე დასასწრები ბილეთები. იმ შემთხვევაში, თუ ტურისტი უფრო მაღალი დონის სასტუმროში გადაწყვეტს ცხოვრებას, ტურიც შესაბამისად გაძვირდება.

შეგახსენებთ, რომ „ევროვიზიის“ 2012 წლის კონკურსი 22-26 მაისს საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართება.

**მედიანიუსი**

# ნოდარ ნათაძე: „პუტინს ომს აღარ დააწყებინებენ“

გულიკო ბალა ე

**სახალხო ფრონტის თავმჯდომარის, ნოდარ ნათა ის განცხადებით, რუსეთმა იცის, რომ რაც მან ვერ მოიპოვა 2997 წლის ომით, იმას ვერასოდეს მოიპოვებს.**

— დღეისათვის სრულიად რეალური პროცესი მიმდინარეობს — შავი ზღვა თავისუფლდება რუსულ-თურქული ტბის სტატუსისაგან — დასავლეთი შემოდის შავ ზღვაზე. შავი ზღვა ხდება ღია ზღვა.

მართალია საქართველოს ორ რეგიონს ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, ფაქტობრივად ჩვენ იქ ვერ შევდივართ, მაგრამ მიმდინარეობს რუსეთის შავი ზღვიდან თანდათანობითი გაძევების პროცესი და ამ პროცესში რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეს ვერ შეინარჩუნებს, — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.


ნოდარ ნათაძე

ნოდარ ნათაძე ამბობს, რომ აფხაზეთი და ვითომ სამხრეთ ოსეთი რეალურ ძალას არ წარმოადგენენ და ვერც იქნებიან.

— არც აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ორიენტაცია და არც მასხარა ოსების ორიენტაცია არაფერს განსაზღვრავს. იქ რაც განსასაზღვრია, ყველაფერს რუსეთი განსაზღვრავს, მაგრამ ამით ეფექტს ვერ მიაღწევს, — ამბობს ნოდარ ნათაძე.

— შეიძლება იყოს გამონაკლისი — ვინაიდან აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, ხოლო პირადად პუტინისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თუ პუტინმა რუსეთს, ვანკას (რუსეთში შედარებით განვითარებული საზოგადოებაა) ვერ დაანახვა გამარჯვების პერსპექტივა, მაშინ მას მოსთხოვენ პასუხს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის, მაშინ მას ჩამოახრჩობენ იმ მიზნით, რომ გაემიჯნონ.

როცა სტალინისაგან გამიჯვნა დასჭირდათ (სტალინმა კორეის ომი წააგო), სტალინი მოკლეს. პუტინს, მით უმეტეს, დემონსტრაციულად ჩამოახრჩობენ. ამის მინიშნებები არის. პოლიტკოვსკაიას მკვლელი რომ დაიჭირეს, ჯერჯერობით, შემკვეთი არ დაიჭირეს, მაგრამ შემკვეთი ვინ არის, ყველამ იცის. შემკვეთი არის პუტინი იმიტომ, რომ პოლიტკოვსკაია იყო გასული მოსკოვში სადარბაზოების აფეთქების საქმეზე.

მსოფლიომ იცის, რომ სადარბაზოების აფეთქება და პოლიტკოვსკაიას მკვლელობა პუტინის გაკეთებულია, — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

ნოდარ ნათაძე მოსკოვში სადარბაზოების აფეთქებასა და პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში პუტინის ბრალეულობასთან დაკავშირებით ინგლისურ ჟურნალ „დი ეკონომისტს“ იმოწმებს და ამბობს, რომ პუტინმა თავის გადასარჩენად შეიძლება თავისი ქვეყანა განწირულ ავანტიურაზე წაიყვანოს, ანუ ახალი ომი ატეხოს.

— მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალ „დი ეკონომისტში“ ბოლო სიტყვა, რაც ამ საკითხზე დაიწერა, იყო ასეთი: ვერც იმას დაამტკიცებს ვინმე, რომ სადარბაზოები პუტინის აფეთქებულია და ვერც იმას დაამტკიცებს, რომ პუტინის აფეთქებული არ არის. ამით დაამთავრა. ეს არის ზრდილობიანი ვერდიქტის გამოტანა. ეს იციან. ამიტომ ახლა პუტინის თავზე ნაჯახი კიდია, მის თავზე გილიოტინა კიდია. ის თავისი პირადი ანგარიშისათვის, შესაძლებელია იძულებული გახდეს თავისი ქვეყანა წაიყვანოს განწრულ ავანტიურაზე, ანუ ახალი ომი ატეხოს.

თუმცა, ამის ალბათობა მცირეა იმიტომ, რომ პუტინი ამას ჩუმად ვერ გააკეთებს. როგორც კი ამას მოინდომებს, მაშინვე ფიზიკურად გაუსწორდებიან, აღნიშნავს ნოდარ ნათაძე.

ნოდარ ნათაძე ამბობს, რომ რუსეთში არიან გარკვეული წრეები, რომლებიც რუსეთზე პასუხისმგებლობას გრძნობენ და შეეცდებიან პუტინი გააკონტროლონ, რომ ახალი ომის საფრთხე არ შეიქმნას რეგიონში.

# რამდენი მილიარდი უჯდება რუსეთს აფხაზეთის და ცხინვალის აღიარება?

### კრემლი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გადმობირებას ცდილობს


კრემლი

თეა მარხვაი ე

მოსკოვი სერიოზულად იღწვის იმისთვის, რომ აფხაზეთი და ცხინვალი რაც შეიძლება მეტმა ქვეყანამ აღიაროს. ჩვენი ხელისუფლების მტკიცებით, რუსეთს სურს, როს მათ მიერ აღიარებულები კოსოვოზე მეტმა ქვეყანამ აღიაროს. საამისოდ მოსკოვი, არც ფულს და არც ძალისხმევას არ იშურებს.

რუსული მედიის მტკიცებით, სწორედ ამ მიზანს ემსახურება რუსეთის პირველი პირების ასეთი გახშირებული ვიზიტები სამხრეთ ამერიკაში. სხვათა შორის, სამხრეთ ამერიკაში ჩვენმა პრეზიდენტმაც მოუხშირა სიარულს. ამაზე ოპოზიციამ რამდენჯერმე გამოხატა პროტესტი. მათი მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილი სამხრეთ ამერიკაში გასართობად დადის.

ამ სიარულს უშედეგოდ სულაც არ მიიჩნევს ექსპერტი მამუკა არეშიძე. მისი განცხადებით, აუცილებელია ამ ქვეყნებთან მუშაობა რადგანაც რუსეთი ცდილობს მათ გადაბირებას.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების სეირნობას ლათინურ ამერიკაში საინტერესო სახელი დაარქვა რუსულმა გამოცემამ. რუს ჩინოსნებს „კომერსანტმა“ „სუვერენიტეტით მოვაჭრენი“ უწოდა.

გამოცემის ჟურნალისტმა ალექსანდრე გაბუევმა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში იმოგზაურა. გაბუევმა უკან დაბრუნების შემდეგ დეტალურად გაანალიზა და საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რამდენი უჯდება რუსეთის ბიუჯეტს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების აღიარების პროცესი.

— რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა გაააქტიურა ურთიერთობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და მხოლოდ განვლილ სამ წელიწადში ჩაატარა 22 ვიზიტი უმაღლეს და 60 შეხვედრა მაღალ დონეზე. 2008 წლის ნოემბერში ამ ვიზიტების სერია გახსნა ქვეყნის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, რომელმაც ჯერ პერუ, ვენესუელა და კუბა, ხოლო შემდეგ ბრაზილია და არგენტინა მოიარა. მას მიყვნენ პრემიერ-მინისტრი ვ.პუტინი, ვიცე-პრემიერი სეჩინი და საგარეო უწყების პირველი პირები. მედვედევის განცხადებით, ეს პროცესი თითქოს რუსეთის ცენტრალურ ამერიკაში „დაბრუნებას“ ისახავდა მიზნად, მაგრამ რეალურად ყველა ეს შეხვედრა და საპასუხო ვიზიტები გამიზნული იყო სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის და მსოფლიოში რუსეთის დაცემული იმიჯის გამოსწორების მცდელობისკენ იყო მიმართული, — წერს ჟურნალისტი.

ჟურნალისტი იხსენებს 2008 წლის შემოდგომას, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიკარაგუა ცხინვალის და სამხრეთ ოსეთის აღიარებას აპირებდა.

მაშინ ჩვენმა შალვა ნათელაშვილმა ნიკარაგუის პრეზიდენტს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა. ნათელაშვილი დენიელ ორტეგას სთხოვდა ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგი არ წასულიყო. ჩვენებურის თხოვნამ არ გაჭრა და ორტეგამ ნათელაშვილს მედვედევი და პუტინი არჩია.

ორტეგას ამ გადაწყვეტილებამ მოსკოვი აღაფრთოვანა და მადლობაც თავისებურად გადაიხადა.

— რუსეთის ხელისუფლებისთვის ამ სასიამოვნო მოვლენის შემდეგ რომ იგი აფხაზეთის ცნობის საკითხში მარტო აღარ არის, ნიკარაგუაში გაიგზავნა მრავალრიცხოვანი დელეგაცია ვიცე-პრემიერ სეჩინის მეთაურობით, რომელმაც ადგილზე შეისწავლა ლათინური ამერიკის ამ ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები და მონაცემთა ჩამონათვალი სწრაფად გადასცა მოსკოვს. რამდენიმე დიდი და მცირე ელექტროსადგურის მშენებლობა, ნავთობის მარაგის მოძიება და ნიკარაგუის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გაზრდა, — ვკითხულობთ სტატიაში.

„კომერსანტის“ ცნობით, ნიკარაგუის მიერ ცხინვალის და სოხუმის აღიარება რუსეთის ბიუჯეტს დაუჯდა 1 მილიარდი ამერიკული დოლარის შეღავათიანი კრედიტი. ეს კრედიტი მოსკოვში საპასუხო ვიზიტით ჩამოსულ დანიელ ორტეგას გადაეცა აფხაზეთის აღიარების საფასურად.

ორტეგას გზას მალე სკანდალური უგო ჩავესი დაადგა. მან მართალია აღიარება დააგვიანა, მაგრამ საჩუქარი არც მისთვის დანანებია მოსკოვს.

ექსპერტთა კლუბის თქმით, უგო ჩავესმა 2009 წლის სექტემბერში მოსკოვში ყოფნის დროს ხელი მოაწერა აფხაზეთის ცნობას და გასამრჯელოდ რუსეთიდან 2,2 მილიარდი დოლარის შეღავათიანი კრედიტი წაიღო.

— ესეც არ აკმარეს და 2010 წლის თებერვალში კარაკასში მყოფმა ვ.პუტინმა 600 მილიონიანი საჩუქარიც დაუმატა უგო ჩავესს. ასევე შედგა დამატებითი შეთანხმება ასტრონომიული თანხის — 20 მილიარდი ამერიკული დოლარის ინვესტიციის სახით გამოყოფაზე ნავთობით მდიდარი მდინარე ორინოკოს აუზის შესასწავლად და დასამუშავებლად, — ამბობენ ქართველი ექსპერტები.

რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება სერგეი ლავროვის მეთაურობით აქტიურად აგრძელებს ღონისძიებებს ლათინურ ამერიკაში.

როგორც ექსპერტთა კლუბი გვამცნობს, მან თავისი მოგზაურობის დამთავრება ამ რეგიონში დაამთხვია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის სამი წლისთვის და მოლაპარაკებები გამართა ნიკარაგუის და განსაკუთრებით ვენესუელის საჩუქრებით მოხიბლული პერუსა და სალვადორის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ხელიდან არ უნდათ გაუშვან სუვერენიტეტებით ვაჭრობის მომგებიანი ბიზნესი.

სალვადორი, რომელსაც პროცენტულად თავისი 6 მილიონიანი მოსახლეობით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ყოველ ათას მოსახლეზე ჩადენილი მკვლელობების რაოდენობით, უკვე აქვს გამოცდილება ამ დარგის ბიზნესში. იგი შედის იმ ქვეყნების მცირე ჯგუფში, რომლებიც ცნობენ ტაივანს და არ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთის რესპუბლიკასთან. შედეგი კი ის არის, რომ სალვადორის დედაქალაქში ქოხმახებს შორის ტაიბეიდან მიღებული ფულით სამინისტროების ფეშენებელური შენობები წამოიჭიმა სახელისუფლო ჩინოვნიკებისთვის.

პერუში ვიზიტის დროს ქვეყნის პრეზიდენტმა ოლიანტა უმალამ მოთხოვნების მთელი სია წარუდგინა ს.ლავროვს, მათ შორის რუსული ტანკების, თვითმფრინავების და სხვა სამხედრო აღჭურვილობის კრედიტით შესაძენად.

ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლას მადურომ თავის რუს კოლეგას იარაღის შესაძენად 4-მილიარდიანი, ხოლო ინფრასტრუქტურის და სოციალური პროექტების განვითარებისთვის 6,5 მლნ დოლარის კრედიტი მოსთხოვა.

— ალექსანდრე გაბუევის დასკვნებმა საფიქრალი გაუჩინეს რუს ფინანსისტებს, რადგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეჟიმების ცნობისთვის წარმოებული ბიზნეს-გარიგებები უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს რუსეთის ისედაც დეფიციტურ ბიუჯეტს. მათივე გათვლით, მარტო ცხინვალის რეგიონში მოსკოვიდან გადაგზავნილი თანხები, რომელთა დიდი ნაწილი მმართველი ელიტის ჯიბეებში აღმოჩნდა, ადგილობრივ მოსახლეობაზე თანაბრად რომ გადანაწილებულიყო, თითო სული 40 ათას დოლარზე მეტს მიიღებდა, ხოლო აფხაზეთისათვის კი დახმარების სახით 10 მილიარდი რუბლია გათვალისწინებული. ამ და სხვა მონაცემებზე უფრო ღრმად დაფიქრება მოუწევს სიღატაკის ზღვარზე მყოფ რუს გადამხდელებს, განსაკუთრებით ქვეყნის პროვინციებში, — მიაჩნიათ ქართველ ექსპერტებს.

მათი თქმით, ჩრდილოეთ კავკასიის დოტაციურ რეჟიმზე ყოფნით და იქ გაჭიანურებული სამხედრო მოქმედებებით უკიდურესად გაღიზიანებული ცენტრალური რუსეთის მოსახლეობისთვის ალექსანდრე გაბუევის მონაცემები შეიძლება ახალი ანტიკავკასიური ტალღის აგორების საფუძველიც გახდეს.

ცნობისათვის, შარშან რუსეთის რამდენიმე ქალაქში ანტიკავკასიური აქცია გაიმართა. რუსები ითხოვდნენ, რომ კრემლს ჩრდილოეთ კავკასიის დაფინანსება შეეწყვიტა.

შედით საიტზე atb.ge

# ჯონ მალკოვიჩი თბილისშია

ეკა ირემაშვილი

**ჰოლივუდის მეგავარსკვლავი ჯონ მალკოვიჩი თბილისშია. იგი ჩვენს ქვეყანას თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ეწვია, რომელიც 14 სექტემბერს საზეიმოდ რუსთაველის თეატრში გაიხსნება.**

თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება რეჟისორ მაიკლ შტურმინგერის სპექტაკლი „ჯოჯოხეთური კომედია — სერიული მკვლელის აღსარებანი“, სადაც მთავარ როლს სწორედ ჯონ მალკოვიჩი ასრულებს. მასთან ერთად სცენაზე ვენის ოპერის ორკესტრი იდგება და ასევე ორი სოპრანო — კირსტენ ბლაისი და მარტენ გრიმსონი. ვენის აკადემიური ორკესტრიც უკვე თბილისშია. მუსიკოსები 34 კაციანი შემადგენლობით ესტუმრნენ საქართველოს. ორკესტრი უკვე ორი წელია ჯონ მალკოვიჩთან თანამშრომლობს, ყოველი სპექტაკლი კი ნიჭიერი მსახიობის წყალობით იმპროვიზაციის ახალი წყაროა. წარმოდგენა კომპანია „მიუზიკ კონსეპტის“ (ავსტრია) პროდუქტია. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 98-დან 250 ლარამდეა.

სპექტაკლი რეჟისორმა რეალურ ამბავზე დადგა. წარმოდგენის მთავარი გმირი სერიული მკვლელი, ქალბატონების გულთამპყრობელი, სახელგანთქმული პოეტი და ჟურნალისტი იყო. მას მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მკვლელობა ედებოდა ბრალად. ბრალის წაყენების შემდეგ იგი ამერიკაში გაიქცა, თუმცა ავსტრიაში დააბრუნეს და საბოლოოდ 11 ქალის მკვლელობისთვის გაასამართლეს. სერიულმა მკვლელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ავტობიოგრაფიული სპექტაკლი ერთი მსახიობის, ორი სოპრანოსა და ორკესტრისთვის საგანგებოდ დაიდგა. ორკესტრი სპექტაკლის მსვლელობისას გამოჩენილი კომპოზიტორების — მოცარტის, ჰეთბოვენის, ვივალდის, ჰაიდნისა და ვებერის ნაწარმოებებს ასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ მალკოვიჩი დღევანდელი კინოს ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია, არანაკლები ინტერესი აქვს საზოგადოებას მისი თეატრალური როლებისადმი. სპექტაკლები ჯონ მალკოჩივის მონაწილეობით სრული ანშლაგით მიდის. მას კინოში 70-მდე როლი აქვს შესრულებული და საკუთარი ტანსაცმლის ხაზსაც უშვებს. 1998 წელს მასზე ჰოლივუდში ფილმიც კი გადაიღეს — „იყო ჯონ მალკოვიჩი“. მიუხედავად იმისა,


ჯონ მალკოვიჩი

რომ მსახიობია, თავადაც წარმატებულად დგამს სპექტაკლებს და იღებს ფილმებს.

ჯონ მალკოვიჩის დებიუტი დიდ ეკრანზე შედგა ფილმში „ადგილი გულში“, სადაც მან ბრმა მდგმური ითამაშა. ამ ფილმმა მსახიობს ამერიკის აკადემიის ჯილდოს ნომინაცია მოუტანა საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისთვის. ფილმს „ადგილი გულში“ მოჰყვა ფილმები, „სიკვდილის მინდვრები“ და „შუშის სამხეცე“, თუმცა საზოგადოებისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ვიკონტ ვალმონის როლი ფილმში „სახიფათო კავშირები“. ჯონ მალკოვიჩმა შეასრულა ფსიქოპატი პოლიტიკური მკვლელის როლი კლინტ ისტვუდის ფილმში „ცეცხლის ხაზი“ და მიიღო კიდეც ოსკარი ამ როლის განსახიერებისთვის. ეს ნამუშევარი წარდგენილი იყო ოქროს გლობუსის ნომინაციაზეც.

ამჯერად ჯონ მალკოვიჩი ქართველი საზოგადოების წინაშე წარდგება და სერიული მკვლელის აღსარებას რუსთაველის თეატრში თეატრის მოყვარული მაყურებლისთვის მხოლოდ ერთხელ გაითამაშებს.

ჯონ მალკოვიჩის მონაწილეობით დადგმული სპექტაკლის რუსთაველის თეატრში წარმოდგენამდე კი თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს ქართველი მხატვრის გოგი ალექსი-მესხიშვილის გამოფენა გახსნის, რომელზეც ყველა ის ნამუშევარი, ფოტო თუ ინსტალაცია იქნება წარმოდგენილი, რომელიც ხელოვანმა თავისი მოღვაწეობის წლებში შექმნა. მათგან ბევრს ქართველი საზოგადოება რუსთაველის თეატრის ფოიეში პირველად იხილავს.

# „გოლდენ ტალანტი“ ბათუმში დაიხურა

ეკა ირემაშვილი

ბათუმში პირველი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „გოლდენ ტალენტ 2011“ ბათუმი დაიხურა. ფესტივალში მონაწილეობა 18 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო. ვარსკვლავურმა და საპროდიუსერო ჟიურიმ საუკეთესოდ მოლდოველი კონკურსანტი პაველ პარფენი დაასახელა, მეორე ადგილი საქართველოს წარმომადგენელს სალომე ქათამაძეს ერგო, ხოლო მესამეზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი გავიდა. კონკურსზე გამარჯვებულები გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებშიც. ფესტივალი კი მსოფლიო ჩარტების ლიდერმა კრის უილისმა დახურა. ფესტივალის ჟიურის ქართველი კომპოზიტორი დავით ევგენიძე ხელმძღვანელობდა.

— ფავორიტი კონკურსანტი არ მყავდა, რადგანაც, რეპეტიციების მიუხედავად, მთავარი საკონკურსო დღეები წინ იყო. რეპეტიციებზე მოვუსმინე ყველა მომღერალს, მაგრამ საბოლოო დასკვნის გაკეთება გამიჭირდა. შესაძლოა, კონკურსანტმა რეპეტიციაზე კარგად იმღეროს, თუმცა კონკურსის დღეს ნერვიულობის ან სხვა მიზეზის გამო მაყურებლის წინაშე კარგად ვერ წარდგეს, ამიტომ რჩეული არ მყოლია და მიმაჩნია, რომ ვინც გაიმარჯვა, ამ ფესტივალზე ნამდვილად ღირსეული იყო, — განაცხადა ჟიურის თავმჯდომარემ.

საქართველოს წარმომადგენელი სალომე ქათამაძე სპეციალურმა ჟიურიმ დავით ევგენიძის ხელმძღვანელობით პირდაპირ ეთერში შეარჩია. ფესტივალის პირველი საკონკურსო დღის გამარჯვებული სალომე ქათამაძე გახდა. მან ვარსკვლავთა ჟიურის შეფასებით მაქსიმალური 50 ქულა მიიღო. პირველი საკონკურსო დღე მაიკლ ჯექსონის სიმღერით გაიხსნა, რომელიც ფესტივალის ყველა მონაწილემ იმღერა.

— ჩემთვის ბათუმი გამარჯვების ქალაქია. ველოდი, რომ საქართველოს სახელით ვიმღერებდი კარგად და მართლაც ასე მოხდა. ჩემს ქვეყანას, საქართველოს წარმოვადგენ, თან ეს ფესტივალიც პირველად ჩემს ქვეყანაში ტარდება, ამიტომ მინდოდა ღირსეულ ადგილას გავსულიყავი. მეორე ადგილი ნამდვილად არ არის ცუდი, — აღნიშნა ქართველმა კონკურსანტმა.

პოპმუსიკის კონკურსზე მსოფლიოს 18 ქვეყნის მონაწილემ მსოფლიო ჰიტები შეასრულა, გამარჯვებული კი ვარსკვლავთა და საპროდიუსერო ჟიურის მეშვეობით გამოვლინდა. მომდევნო საკონკურსო დღეს სალომე ქათამაძემ გიგა კუხიანიძის სიმღერა იმღერა. კონკურსანტები ფესტივალის დაწყებამდე რეპეტიციას ერთი კვირის განმავლობაში გადიოდნენ. კონკურსზე წარმოდგენილი იყო ბევრი ექსკლუზივი.

ფესტივალი ქართულმა ჯგუფმა „ელდრაინი“ გახსნა. მათ მიერ შესრულებული იყო თავისი ჰიტი და ერთი ახალი სიმღერა. მათ შეენაცვლა ცნობილი ჯგუფი „ბლუ“, რომელიც ბათუმში სპეცრეისით ჩამოფრინდა და 45 წუთიანი პროგრამა წარმოადგინა. ჯგუფის წევრებმა ძველი და ახალი რეპერტუარი იმღერეს.

— ძალიან მოგვეწონა ბათუმი, გვინდა კიდევ დავბრუნდეთ და კონცერტები გავმართოთ. ძალიან აქტიური მსმენელი გყავთ, რამაც ძალიან დადებითად იმოქმედა ჩვენზე, - განაცხადეს ჯგუფის წევრებმა.

— „ბლუ“ ჩემი საყვარელი ჯგუფია და დიდი სიამოვნებით დავესწარი მათ კონცერტს. კონკურსზე საკმაოდ ვინერვიულე. მინდოდა ჩემი ქვეყანა ღირსეულად წარმედგინა და მგონია, რომ მოვახერხე კიდეც, — აღნიშნა სალომე ქათამაძემ.

ფესტივალზე, ბილეთის მაღალი ფასის გამო, მაყურებელმა არ იაქტიურა და მათთვის განკუთვნილი ადგილების უმეტესობა ცარიელი დარჩა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ფესტივალის ორგანიზატორები იძულებული გახდნენ ცარიელ დარბაზში მაყურებელი გარედან შეეყვანათ. ფესტივალზე დასასწრები ბილეთის ფასი 160 ლარიდან იწყებოდა და 1000 ლარამდე ადიოდა. ფესტივალში კონკურსანტების გარდა, მონაწილეობა მიიღეს ჯგუფმა „ბლუ“, აზერბაიჯანულმა ჯგუფმა „სასტრო პროჯექტი“, ქართულმა როკ ჯგუფმა „ელდრაინი“, მომღერლებმა კრის ვილისიმ და სემ ობერნიკიმ. ფესტივალს ახალმა ბულვარმა უმასპინძლა და ყველაზე ნიჭიერი 19 წევრიანმა ჟიურიმ დაასახელა.

ფესტივალ „გოლდენ ტალენტ 2011“-ის ორგანიზატორები „ჯორჯიან არტ ფესტი“ და ბათუმის მერია იყვნენ. ღონისძიების ორგანიზატორებმა საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს სოლიდური ფულადი ჯილდოებიც შესთავაზეს — გამარჯვებულ კონკურსანტს „მსოფლიო ოქროს ტალანტის“ სტატუსთან ერთად 20 ათასი დოლარის საპრიზო ფონდი ერგო, მეორე ადგილზე გასულს — 15 ათასი დოლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასულს — 10 ათასი დოლარი.


სალომე ქათამაძე

# „ქარვასლაში“ კატალოგის პრეზენტაცია მოეწყობა

ეკა ირემაშვილი

14 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმი „ქარვასლა“ მხატვარ ჯემალ კუხალაშვილის გალა გამოფენას და კატალოგის პრეზენტაციას მოაწყობს, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მხარდაჭერით გამოიცა.

ექსპოზიცია სახელწოდებით „მოგონებები მომავალზე“ მხატვრის 200-მდე ნამუშევარს გააერთიანებს. ცნობილი და ახალი, ბოლო წლებში შექმნილი საუკეთესო ნამუშევრებით ჯემალ კუხალაშვილის 25-ე პერსონალური გამოფენა გაიხსნება.

— ეს არის ჩემი რიგით 25-ე პერსონალური გამოფენა, რომელზეც ახალი და ძველი ნამუშევრები მექნება წარმოდგენილი. ექსპოზიციას „მოგონებები მომავალზე“ ვუწოდეთ. ამავე დღეს გაიმართება ჩემი ნამუშევრების კატალოგის პრეზენტაცია, რომელიც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა, — გვითხრა მხატვარმა.

ჯემალ კუხალაშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვში, კულტურის სამინისტროს ფონდებში და ტრეტიაკოვსკის გალერეაში. ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში ბილი ჯოელის, სტენლი ტალკოტის, ქეთევან ბაგრატიონის, თემურ იაკობის და უამრავი ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, გერმანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, უნგრეთის, ისრაელის კერძო კოლექციებში.

ჯემალ კუხალაშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობის წლებშივე მხატვრულად გააფორმა ელდარ შენგელაიას ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“. ქართველი მხატვარი დასახელდა წლის საუკეთესო მხატვრად და დაიმსახურა მხატვართა კავშირის პრიზი და პირველი პრემია. თბილისის სახვითი ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო პირველი პრემია, ხელოვნების საერთშორისო ფესტივალზე კი გრანპრი დაიმსახურა. მხატვარი მარტო თბილისში 25 პერსონალური გამოფენის ავტორია. მისი ტილოები წარმოდგენილი იყო მოსკოვში, აშშ-ში, იუგოსლავიაში, ბელგრადში, მოსკოვში, ფლორენციაში, ავსტრიაში, ბელგიაში, დანიაში, გერმანიაში, ბარსელონაში.


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.
- ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.
- მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# საქართველო შოტლანდიით იწყებს

დღეს, მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ჩაებმევა. ახალი ზელანდიისს ქალაქ ინვერკარგილში, საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას გამართავს შოტლანდიელებთან, რომლებმაც წინა შეხვედრაში არცთუ ისე სახარბიელო სხვაობით სძლიეს რუმინეთის ნაკრებს.

შესაძლოა, ამიტომაც მოხდა შოტლანდიის გუნდში ცვლილებები — ენდი რობინსონმა სასტარტო შემადგენლობაში 11 მოთამაშე შეცვალა. შოტლანდიელების განცხადებით, მათ კარგი გაკვეთილი მიიღეს რუმინეთთან თამაშში და საქრთველოსთან ტაქტიკის შეცვლას აპირებენ. მწვრთნელის აზრით, შოტლანდიის ნაკრები საქართველოსთან თამაშისას, უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება დიდხანს ფლობდეს ბურთს და რუმინეთთან დაშვებული შეცდომა არ გაიმეოროს — წინა შეხვედრაში, თამაშის გარკვეულ მომენტებში, ბურთს ძირითადად რუმინელები აკონტროლებდნენ.

ამ ტაქტიკით, შოტლანდია შერკინებაში ძლიერი ქართველების მთავარი კოზირის განეტირალებას შეეცდება:

— პირველი შემთხვევაა, როდესაც სათადარიგო სკამზე ხუთი ფორვარდი და ორი ბეკი გვყავს, — ამბობს რობინსონი.

საგულისხმოა, რომ შოტლანდიამ კაპიტანიც შეცვალა — ნაკრებს ალასტერ კელოკის ნაცვლად რორი ლოუსონი გაუძღვება.

საქართველოს ნაკრები 11 სექტემბერიდან უკვე ინვერქარგილში განაგრძობს მატჩისთვის მზადებას. გუნდში საბრძოლო განწყობაა და საბედნიეროდ, არ არის ტრავმები.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის, რიჩი დიქსონი იმედიანად ელის მისი შეგირდების პირველ მატჩს:

— რუმინეთმა აჩვენა, რომ მანძილი ევროპის ერთ თასის ლიდერებსა და ექვსი ერის გუნდებს შორის არცთუ ისე დიდია, — განაცხადა დიქსონი.

უნდა ითქვას, რომ რუმინეთი ერთგვარი რეკორდსმენია: მსოფლიო თასის გათამაშებების ფინალურ სტადიაზე ევროპის ერთა თასის არც ერთ გუნდს სარაგბო ელიტის ნაკრებთან შეხვედრაში 24 ქულა არ მოუპოვებია. რუმინეთმა ეს მოახერხა.

„ბორჯღალოსნების“ კაპიტანი, ირაკლი აბუსერიძე კი აღნიშნავს:

— რუმინეთს შოტლანდიასთან მოგება შეეძლო. მათ ბოლო წუთებში ვერ მოახრეხეს დაცვაში კონცენტრაცია. ვთვლი, რომ შოტლანდიას შეგვიძლია თანაბრად ვეთამაშოთ, კარგად ვიცით, რომ არგენტინა, ინგლისი და შოტლანდია მსოფლიო კლასის გუნდებია. არ მოველოდით რუმინეთისგან ასეთი მაღალი დონის თამაშს. რუმინეთის შერკინება ძალიან კარგი იყო და, მათი შემხედვარე, ჩვენი იმედი უფრო განმტკიცდა. მოასლოდნელია, რომ შოტლანდიელები უფრო ძლიერ შემადგენლობას გამოიყვანენ და მეტად მოტივირებულები იქნებიან. როგორც დებიუტანტებმა, 2003 წელს, თითქმის არ ვიცოდით, რას მოველოდით მსოფლიო თასისგან. მას შემდეგ, ნაკრების სათამაშო ოსტატობა გაცილებით დაიხვეწა. ამის მაგალითად 2007 წლის მსოფლიოზე, ირლანდიის წინააღმდეგ მატჩი შეგვიძლია მოვიყვანოთ. აქ მხოლოდ ოთხი ქულით დავმარცხდით, რაც თითქმის მოგების ტოლფასი იყო და ამან, ბუნებრივია, საკუთარი თავის რწმენა შეგვმატა, ასეთია საქართველოს ნაკრების კაპიტნის აზრი.

გუნდები დღეს, 11:30 წუთზე მოედანზე ასეთი შემადგენლობით გავლენ:

საქართველოს ნაკრები: 15. რევაზ გიგაური 14. ირაკლი მაჩხანელი13. დავით კაჭარავა12.თედო ზიბზიბაძე 11. ალექსანდრე თოდუა 10. მერაბ კვირიკაშვილი 9.ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. შალვა სუთიაშვილი 7. მამუკა გორგოძე 8. დიმიტრი ბასილაია;

მარქაფა: 16. ავქსენტი გიორგაძე 17. დავით ქუბრიაშვილი 18. გიორგი ჩხაიძე 19. ვიქტორ კოლელიშვილი 20. ბიძინა სამხარაძე 21. ლაშა ხმალაძე 22. მალხაზ ურჯუკაშვილი.

შოტლანდიის ნაკრები: 15. რორი ლამონტი 14. მაქს ევანსი 13. ნიკ დე ლუკა 12. გრემ მორისონი 11. შონ ლამონტი 10. დენ პარკსი 9. რორი ლოუსონი; 1. ალან ჯაკობსენი 2. სკოტ ლოუსონი 3. ევან მიურეი, 4. ნათან ჰაინსი 5. ჯიმ ჰამილტონი 6. ელი სტროკოში 7. როს რენი, 8. კელი ბრაუნი;

მარქაფა: 16. როს ფორდი, 17. ჯეფ კროსი, 18. ალასდერ დიკინსონი, 19. რიჩი გრეი 20. რიჩი ვერნონი, 21 . ქრის კაზიტერი, 22. კრის პატერსონი.

# ცხადაიას მეორე ვერცხლი და მესამე ლიცენზია


მანუჩარ ცხადაია

თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა მანუჩარ ცხადაიამ ვერცხლის მედალი და ამავდროულად 2012 წელს ლონდონში გასამართი ოლიმპიურ თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ცნობისთვის, ეს მესამე ქართული ლიცენზიაა ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძისა და მშვილდოსან ქრისტინე ესებუას შემდეგ. თავად მანუჩარმა კი მეორედ მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლის მოპოვება და ამჯერადაც იგივე სინჯის.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ცხადაიამ სტამბოლში ხუთი მეტოქე დაამარცხა. თავდაპირველად ალჟირელ მოჰამედ სერირის მოუგო, შემდეგ შვეიცარიელ პასკალ შტრებელს, მერვედფინალში, ევროპის წლევანდელ ვიცე-ჩემპიონს, უნგრელ ტამაშ ლორინცს საკმაოდ დაძაბულ, სამპერიოდიან ბრძოლაში აჯობა, მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში კი ორი ადვილი გამარჯვება მოიპოვა — კუბელ პედრო ისააკ მულენს ჰერერას 3:0, 3:0 სძლია, ხოლო ამერიკელ ჯასტინ დაშაუნ ლესტერს — 4:0, 4:0. გადამწყვეტ შეხვედრაში კი ირანელ საეიდ მორად აბდვალისთან ასევე ორ პერიოდში წააგო — 0:1, 0:2.

მედლები 55 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებშიც გათამაშდა. საქართველოს სახელით ლაშა გოგიტაძემ (55 კგ) და ირაკლი ქაჯაიამ (96 კგ) იჭიდავეს, მაგრამ ჩემპიონატს ორივე თითო ჩატარებული შეხვედრით დაემშვიდობა.

გოგიტაძემ პირველსავე წრეში წააგო, უკრაინელ ვუგარ რაგიმოვთან. ქაჯაია კი ტურნირში პირდაპირ მეორე წრიდან — მეთექვსმეტედფინალიდან ჩაერთო და თავისზე ბევრად გამოცდილ მეტოქესთან, ეგვიპტელ მუჰამედ იბრაჰიმ აბდელფათაჰთან დამარცხდა.

# ევროპა ქართველების გარეშე გრძელდება

**საბერძნეთი — საქართველო 73:60**
(12:13, 20:22, 19:12 22:13)




**საბერძნეთი:** ბურუსისი (13ქ), ზისისი (5ქ), კალატესი (7ქ), ფოცისი (10ქ), პაპანიკოლაუ (4ქ), ქსანტოპულოსი, ვასილეიადისი (15ქ), მავროეიდისი (6ქ), ბრამოსი, კუფოსი (6ქ,3დ), სლუკასი (3ქ), კაიმაკოღლუ (4ქ).

**მწვრთნელი:** ილიას ზუროსი.

**საქართველო:** შერმადინი (10ქ,14), მარკოიშვილი (8ქ), ჰეინსი (11ქ), სანიკიძე (6ქ,5მ), ცქიტიშვილი (3ქ), გამყრელიძე (9ქ), ვ.ბოისა, ა.ბოისა (2ქ), ფარღალავა, შენგელია (11ქ,5მ)

საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩი გამართა წლევანდელ ევრობასკეტზე და საბერძნეთთან დამარცხდა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით დაიწყო — ხან ერთი გუნდი ლიდერობდა, ხან — მეორე და საბოლოოდ, პირველი მეოთხედი ქართველებმა მოიგეს — 13:12. ჩვენმა ნაკრებმა მობილიზებით ჩაატარა საწყისი ათწუთეული და ძლიერ მეტოქეს მდევრის როლში ამყოფებს. გიორგი შერმადინმა ბოლო წუთზე ორჯერ ჩატენა და ამის შემდეგ ქართველებმა ჩამორჩენა აღმოფხვრეს. ბერძნები 12:7 გვიგებდნენ, თუმცა სწრაფი შეტევებისა და მწყობრი დაცვის შემდეგ იგორ კოკოშკოვის გუნდმა მოახერხა დაწინაურება.

მეორე მეოთხედიდან ქართველები კიდევ უფრო ყოჩაღად ათამაშდნენ. გუნდური თამაშის წყალობითა და დაცვაში მწყობრი მოძრაობით კოკოშკოვის გუნდი 22:19 დაწინაურდა, თუმცა ბერძნები არ რჩებოდნენ და ქართველებს კუდში მისდევდნენ. მანუჩარ მარკოიშვილის საშუალო მანძილიდან ჩაგდებულის შემდეგ ჩვენები 24:22 დაწინაურდნენ, ტაიმის დასრულებამდე კი 5 წუთი რჩებოდა. მორიგი სწრაფი შეტევა მარკიზ ჰაინსმა დააგვირგვინა და 26:22. კოსტანტინოს ვასილიადისმა სამქულიანი ჩაგვიგდო, რასაც გამყრელიძემ იგივეთი უპასუხა და 29:25 სირენამდე 4 წუთით ადრე.

მავროედისი ორქულიანს აგდებს, შენგელია მასზე ჯარიმდება და ბერძნები ისევ ქულით უახლოვდებიან ჩვენებს. გამყრელიძე მორიგ ზუსტ გარღვევას ახორციელებს, თუმცა იგივეთი გვპასუხობენ ბერძნებიც და ტაიმის დასრულებამდე 3 წუთით ადრე სხვაობა კვლავ 1 ქულაა — 31:30. მარკოიშვილის ზუსტი სროლის შემდეგ ქართველები კვლავ 3 ქულით დაწინაურდნენ. მალევე გიორგი შერმადინი შენგელიას სროლას ამატებს და კოკოშკოვის გუნდი სირენამდე 1:12 წუთით ადრე 35:30 ლიდერობდა. კაიმაკოღლუ საჯარიმოს ხაზიდან კვლავ 3 ქულამდე ამცირებს სხვაობას და ტაიმიც სრულდება — 35:32 საქართველოს სასარგებლოდ.

ბერძნებმა მეორე ტაიმი სამქულიანით გახსნეს, რასაც გიორგი შერმადინმა და მარკოიშვილმა ორიანებით უპასუხეს და ქართველების უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა — 39:35. გუნდები ორქულიანებს ცვლიან, თუმცა ანტონის ბურუსისის სროლის შემდეგ ბერძნები 2 ქულით გვიახლოვდებიან. კალატისის სროლის შემდეგ ბერძნები ქულით წინ გადიან, თუმცა შენგელია ზუსტი გარღვევით ჩვენებს ლიდერობას უბრუნებს. ფოცისი ჩვენს საჯარიმოში კარგად თამაშობს და 44:43 საბერძნეთის სასარგებლოდ. იანის ბურუსისი ზედიზედ აგდებს საშუალო სროლებს და ბერძნები 5 ქულით დაწინაურდნენ — 48:43. შემდეგ გუნდები შეტევებს ცვლიან და საბოლოოდ მესამე მეოთხედი საბერძნეთის სასარგებლოდ 51:47 დასრულდა.

კოსტას კუფოსის სროლის შემდეგ საბერძნეთი 53:47 დაწინაურდა. ბერძნებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს — ზისისისა და ვასილიადისის გარღვევების შემდეგ საბერძნეთი 57:47 დაწინაურდა. ქართველები შეტევაში ხან ბურთს კარგავდნენ, ხანაც მიზანში ვერ არტყამდნენ. გიორგი შერმადინმა ნავსი გატეხა. მისი მორიგი ჩატენვის შემდეგ ჩამორჩენა 8 ქულამდე შემცირდა. ამას სანიკიძის საჯარიმოები მოჰყვა და მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე საქართველო 6 ქულით მიუახლოვდა საბერძნეთს — 51:57.

ჩვენებმა ორქულიანი, მერე სამიანი ააცილეს, რასაც ვასიალიადისის ორიანი მოჰყვა და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. საქართველოს ნაკრები ცდილობდა ჩამორჩენის აღმოფხვრას, მაგრამ ბერძნები შეტევაში დამაჯერებლად თამაშობდნენ. 64:55 დასრულებამდე 2 წუთით ადრე ვასილიადისმა შორი სამქულიანით მატჩის ბედი გადაწყვიტა — 67:55. საბოლოოდ ქართველებისთვის არაფერი შეცვლილა — საბერძნეთის ნაკრები მშვიდად მივიდა გამარჯვებამდე.

***მატჩის შემდეგ***

**გიორგი შერმადინი:**

— პირველ რიგში, მინდა მივულოცო საბერძნეთის ნაკრებს. ეს იყო ძალიან კარგი მატჩი. ჩვენ ვიგებდით პირველი ტაიმის შემდეგ, თუმცა ბერძნებმა კარგად ითამაშეს დაცვაში და საბოლოოდ წარმატებასაც მიაღწიეს. საბერძნეთს წარმატებას ვუსურვებ მეოთხედფინალში.

**კოსტანტინოს პაპანიკოლაუ:**

— პირველ ტაიმში დაცვაში ცუდად ვითამაშეთ, თუმცა გასახდელში მწვრთნელმა ყველაფერი კარგად აგვიხსნა და შესვენების შემდეგ თამაშიც გამოვასწორეთ. ჩვენ ვიცოდით, რომ კარგი დაცვის გარეშე ვერას გავხდებოდით. ამის გამო დავმარცხდით რუსეთთან და შეცდომის გამეორება არ გვინდოდა. ჩვენ ყოველი მატჩის მოსაგებად ვიბრძვით, მნიშვნელობა არა აქვს, გასულები ვართ ჯგუფიდან თუ არა. ახლა უკვე საფრანგეთთან მატჩზე ვფიქრობთ.

**იგორ კოკოშკოვი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— საქართველოსთვის ყოველი მატჩი ჩვეულებრივზე დიდ ხანს გრძელდება, რადგან სათადარიგოთა სკამი მოკლე გვყავს. ყოველ მატჩში დიდი ბრძოლა გვქონდა, პლუს ამას, გააზრებულადაც უნდა გვეთამაშა. ამ მატჩშიც საკმაოდ ბევრი შეცდომა დავუშვით. ბერძნები თამაშს კარგად აკონტროლებდნენ და ყოველ სროლას გააზრებულად ასრულებდნენ. მე მოხარული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშით ჩვენმა ნაკრებმა დიდი გამოცდილება შეიძინა. ჩვენ ამ მატჩის შედეგით კმაყოფილები არ ვართ, მაგრამ მთლიანობაში ამ ციკლში ასპარეზობა ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

**ილიას ზუროსი, საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— ვულოცავ საქართველოს. მათ ითამაშეს საკმაოდ დისციპლინირებული და ლამაზი კალათბურთი. მათ საკმაოდ კარგი ფილოსოფია გააჩნიათ. საქართველოსთან საინტერესო შეხვედრა გვქონდა, რომელიც მომავალი მატჩისთვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ. ჩვენ კაუნასში მივდივართ, სადაც ევრობასკეტის საუკეთესო გუნდები მოხვდნენ.

**ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩები:**

სლოვენია — ფინეთი ........ 67:60
რუსეთი — მაკედონია ........ 63:61

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 5 | 0 | 355:310 | 10 |
| 2.მაკედონია | 4 | 1 | 338:313 | 9 |
| 3.საბერძნეთი | 3 | 2 | 348:336 | 8 |
| 4.სლოვენია | 2 | 3 | 337:337 | 7 |
| 5.ფინეთი | 1 | 4 | 338:372 | 6 |
| 6.საქართველო | 0 | 5 | 329:377 | 5 |

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**
ქპრ-ნიუკასლი ........ 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**
მალაგა-გრანადა ........ 4:0

**იტალია. სერია ბ**
ვიჩენცა-ტორინო ........ 0:1
ემპოლი-სამპდორია ........ 1:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**
დინამო-ბოხუმი ........ 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**
ამიენი-ლანსი ........ 1:2

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**
ჰელმონდი-ზვოლე ........ 3:1

**პორტუგალია. ა ლიგა**
აკადემიკა-ნასიონალი ........ 4:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**
ტერეკი-ყუბანი ........ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**
ფენერბახჩე-ორდუ ........ 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**
სპარტა-იჟკოვი ........ 4:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**
ლეჩნა-გურნიკი ........ 2:1

**დანია. სუპერლიგა**
ორსუნდი-მიდტიულანდი ........ 4:2

**შვედეთი. ალსვენსკა**
იორებრო-აიკი ........ 1:2
ესლფბორგი-გაისი ........ 1:3
ჰალმშტადი-გეფლე ........ 2:2

**ნორვეგია. ელიტსერია**
სარპსბორგი-რუსენბორგი ........ 0:6

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**
ინტერი-ჰონკა ........ 2:2
ჰიკი-კუუპიო ........ 1:0

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**
ბოჰემიანსი-დანდალკი ........ 3:1
დერი-დროჰედა ........ 2:2
სლიგო-ბრეი ........ 3:0
დუბლინი-გელვეი ........ 2:1
სტ.პატრიკი-შემროკი ........ 1:1

**არგენტინა. აპერტურა**
არხენტინოსი-ლანუსი ........ 0:4

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**
სლოვენია-ფინეთი ........ 67:60
საბერძნეთი-საქართველო ........ 73:60
რუსეთი-მაკედონია ........ 63:61

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**
ბულგარეთი-გერმანია ........ 3:1
პორტუგალია-ესტონეთი ........ 0:3
სლოვენია-თურქეთი ........ 3:2
ფინეთი-ბელგია ........ 3:0
პოლონეთი-სლოვაკეთი ........ 1:3
რუსეთი-ჩეხეთი ........ 3:0
იტალია-საფრანგეთი ........ 2:3
სერბეთი-ავსტრია ........ 3:0

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**
**კაცები**
**ფინალი**
ჯოკოვიჩი-ნადალი ........ 6:2;6:4;6:7;6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედით საიტზე atb.ge

## დღის კალენდარი

### 14 სექტემბრისთვის



წლის 257-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 108 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

მე-14 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ოთხშაბათი

გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტიონისა ანუ ეკლესიურის ახლისა წელიწადისა. კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მიასინეს სავანეში (ხსენება წმიდა ხატის პოვნისა) (864); ღირსისა სვიმეონ მესვეტისა, არქიმანდრიტისა ( 459); მოწამისა აითალა დიაკონისა (380); 40-თა მოწამეთა ქალწულთა მმარხველთა და მოწამისა ამუნი დიკონისა, მოძღვრისა მათისა (IV); მოწამეთა: კალისტასი და ძმათა მისთა, ებოდისა და ერმოგენისა (309); მართლისა ისუ (ისო) ძისა ნავესი (XVI ს. ქრისტეს შობამდე).

სვიმეონი დაიბადა კაპადოკიის სოფელ სისანში, ღვთისმოშიში ქრისტიანების სუსოტიანესა და მართას ოჯახში. როცა სვიმეონს 18 წელი შეუსრულდა, მან მონაზვნობა მიიღო, ბერად აღიკვეცა და მკაცრი მარხვისა და განუწყვეტელი ლოცვა-ვედრების ღვაწლს მიეცა. შემდეგ ღირსი სვიმეონი განმარტოვდა, თვითონვე აიგო ოთხი მეტრი სიმაღლის სვეტი, მომცრო საკანი მოიწყო მასზე და დაიწყო ასკეტური ცხოვრება მკაცრი მარხვითა და მძაფრი ლოცვით. წმიდანი გამუდმებით ზრდიდა თავისი სვეტის სიმაღლეს. მისი სვეტის უკანასკნელი სიმაღლე ორმოც წყრთას აღწევდა. დედაკაცთ აკრძალული ჰქონდათ სვეტთან მიახლოება. ამ მხრივ ღირსმა სვიმეონმა საკუთარი დედისთვისაც არ დაუშვა გამონაკლისი. დედა ვერ ეღირსა თავისი წმიდა და მკაცრად მოსარგე ძის ნახვას და სვეტის გალავანთან მიაბარა უფალს სული. ადამიანებს აოცებდათ წმიდანის სულიერი სიმხნევე და მისი ხორციელი სიმტკიცე, რითაც თვით უფალმა დააჯილდოვა თავისი სათნომყოფელი.

პირველი, ვინც ღირსი მამის გარდაცვალების შესახებ შეიტყო, იყო მისი ერთ-ერთი მოწაფე ღირსი ანტონი. წმიდანი მისსავე სვეტის სიახლოვეს დაკრძალეს. ღირსმა ანტონმა კი თავისი დიდი მოძღვრის მოღვაწეობის ადგილზე მონასტერი დააარსა.

ხსენება წმიდა მოწამის აითალე დიაკვნისა. წმიდა აითალე ქრისტეს სახელის აღიარებისათვის მაზდეანებმა ქვებით ჩაქოლეს. ეს მოხდა 380 წელს.

ხსენება 40 წმიდა მმარხველი ქალწულისა და მათი მოძღვრის ამმონ დიაკვნისა.

ისინი ევნენ ქრისტეს სახელისათვის მაკედონიის ქალაქ ანდრიაპოლისში. ქალაქის გამგებელმა მრავალი მძიმე სატანჯველით ტანჯა ეს მოწამენი, რათა ქრისტესაგან განდგომაზე და კერპთათვის თაყვანისცემაზე დაეთანხმებინა, მაგრამ ამაოდ წმიდანთა ნება შეურყეველი იყო. მათ სიმტკიცით აღიარეს თავიანთი რწმენა ქრისტესი და უარი თქვეს კერპთათვის მსხვერპლის შეწირვაზე. ისინი ცოცხლად დაწვეს.

ხსენება კალისტასი და მის ღვიძლი ძმებისა ევოდისა და ერმოგენისა. ისინი ქალაქ ნიკომიდიის მკვიდრნი იყვნენ. ქრისტეს რწმენის აღიარებისათვის წარუდგნენ წარმართი მსაჯულის სამსჯავროს, რისთვისაც მათ თავები მოჰკვეთეს.

ხსენება წმიდა ისო ნავინისა. წმიდა მოსე წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდეგ იგი ისრაელი ერის წინამძღოლი იყო. უფალმა მრავალი დიდი სასწაული მოუვლინა ისრაელ ერს ისო ნავინის მეშვეობით. იგი 110 წლისა აღესრულა შობითგან (XIV ს. ქრისტეს შობამდე).

**დაიბადნენ:**

1849 — ივანე პავლოვი, რუსი მეცნიერი, ფიზიოლოგი.

1873 — მიხეილ მამულაშვილი, მებაღე-დეკორატორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

1915 — სერგო კობალაძე, ქართველი თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1934 — ამირან ჭიჭინაძე, კინოდრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

1942 — ელისო ვირსალაძე, ცნობილი ქართველი პიანისტი.

**გარდაიცვალნენ:**

1984 — ნოდარ დუმბაძე, მწერალი.

1901 — უილიამ მაკ-კინლი, აშშ-ს 25-ე პრეზიდენტი.

1927 — აისედორა დუნკანი, ცნობილი ამერიკელი მოცეკვავე ქალი.

**მოვლენები:**

1812 წელი — ნაპოლეონ ბონაპარტემ აიღო მოსკოვი.

1829 წელი — დაიდო ადრიანოპოლის ზავი. დასრულდა რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომი. რუსეთის ხელში გადავიდა ქართული ქალაქები — ფოთი, ახალქალაქი, ახალციხე, და ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ნაწილი.

1866 წელი — ჯორჯ ანდერსონმა დააპატენტა საბეჭდი მანქანის ლენტი.

1901 წელი — აშშ-ს პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი მანქანის ბორბალში შარფის ჩაყოლამ იმსხვერპლა.

1959 წელი — „ლუნა II“ მსოფლიოში პირველმა მიაღწია მთვარეს.

1984 წელი — ჯო ქეთინგერი პირველი ადამიანი გახდა, რომელმაც აეროსტატით ატლანტიკის ოკეანეს გადაუფრინა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

აშშ — სახელმწიფო ჰიმნის დღე.

გვატემალა, ნიკარაგუა — სან-ხასინტოს დღე.

*მედიანიუსი*

## ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრად ეკატერინე მაზმიშვილი დამტკიცდა

საქართველოს პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად ეკატერინე მაზმიშვილი აირჩია. გუშინ გამართულ პლენარულ სხდომაზე კენჭი კიდევ ორ კანდიდატს: კონსტანტინე ჩლაიძესა და რამაზ აფციაურს ეყარა. თუმცა 88 ხმით ერთხმად პარლამენტმა მხარი ეკატერინე მაზმიშვილის კანდიდატურას დაუჭირა.

*მედიანიუსი*

# რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში დაბრუნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სპექტაკლი „ნადირობის სეზონი“ რეჟისორმა თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა. მუსიკა სპექტაკლისთვის გია ყანჩელმა დაწერა, ქორეოგრაფიაზე კოტე ფურცელაძემ იმუშავა, მხატვრობა თემურ ნინუას ეკუთვნის, ხოლო რეჟისორის თანაშემწე მარინა ამაღლობელია. „ნადირობის სეზონი“ არის ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია ერთ მოქმედებად. მასში მონაწილეობენ ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, სანდრო მიკუჩაძე-ღლონიძე, ზვიად პაპუაშვილი. ხოლო ეპიზოდებში დაკავებული არიან ზაზა ბარათაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, გაგი სვანიძე და ბექა სონღულაშვილი. გარდა იმისა, რომ რუსთაველის თეატრში „ნადირობის სეზონი“ 23 და 24 სექტემბერს იქნება წარმოდგენილი, 29 სექტემბერს რობერტ სტურუას მიერ განხორციელებული წარმოდგენა უკვე თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზეც გათამაშდება. რა შეცვალა რობერტ სტურუამ თავის „ორაზროვან სპექტაკლში“, ამას მაყურებელი რუსთაველის თეატრის სეზონის გახსნაზე ნახავს.



ნიკოლოზ რურუა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ კი სასტუმრო „რედისონში“ მიმდინარე ამბასადორიალზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნის კანონიერ აუცილებლობას ვერ ხედავს. მისი თქმით, კანონი ამბობს, რომ თეატრს სამხატვრო ხელმძღვანელი შეიძლება ჰყავდეს, ან — არ ჰყავდეს.

— ეს საკითხი დღის წერიგში ნამდვილად არ დგას. ამ დროისთვის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე არანაირი კანდიდატურა არ განიხილება. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ამ წუთას არანაირი კანდიდატურა არ არსებობს. რუსთაველის თეატრის სამხატრო ხელმძღვანელის პოსტი, შესაძლოა, სამუდამოდ ვაკანტური დარჩეს, — განმარტა კულტურის მინისტრმა.

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა, კულტურის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ბრძანებით 15 აგვისტოს თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მინისტრმა აღნიშნული გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზად რობერტ სტურუას მიერ გაკეთებული „ქსენოფობიური განცხადებები“ და „ეთნიკური მეტაფორები“ დაასახელა, რომელიც რეჟისორმა პრეზიდენტის ეროვნებასთან დაკავშირებით გააკეთა. თავად რობერტ სტურუა თეატრიდან მის დათხოვნას მისი პოლიტიკური შეხედულებებით ხსნის და აცხადებს, რომ პრეზიდენტმა მას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გარდა, სპექტაკლი „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი პრეზიდენტი“ ვერ აპატია, რომელიც ქვეყანაში არსებულ რეალობას ასახავდა.

რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში რეჟისორად რჩება. თავად კულტურის მინისტრისთვის უცნობია, შესთავაზეს თუ არა რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრში სპექტაკლების დადგმა. მინისტრმა ჟურნალისტებს ურჩია, ამ თემაზე ინფორმაციისთვის რუსთაველის თეატრის მმართველისთვის — ზაალ ჩიქობავასთვის მიემართათ.

— ნამდვილად არ ვიცნობ ასეთ განცხადებას, ეს ზალიკო ჩიქობავასთან უნდა გადაამოწმოთ. რობერტ სტურუასთვის რეჟისორობა არავის აუკრძალავს, იგი უბრალოდ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი აღარ იქნება, — განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

რუსთაველის თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელ რობერტ სტურუას კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ სეზონზე 2 სპექტაკლის დადგმა და კარგი ჰონორარი შესთავაზა.

ამის შესახებ რობერტ სტურუამ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით თავად განაცხადა. რეჟისორის თქმით, ზაალ ჩიქობავა, როგორც ყოველთვის, უნიჭოდ ტყუის.

— მიჭირს ამის თქმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ, როგორც ყოველთვის, ჩვენი მმართველი მსახიობი უნიჭოდ ტყუის. მინისტრის წინადადება გადმომცა: სეზონში 2 დადგმას მომცემენ, კარგ ჰონორარსაც გადამიხდიან. მაგრამ მე, ადამიანმა, არაპროფესიონალ ჭაობში რომ ჩავუშვი რუსთაველის თეატრი... მოკლედ, ჩვენი საუბარი ჩემი წიგნების თეატრიდან სახლში გადაზიდვის ტექნოლოგიით დამთავრდა, — განაცხადა რობერტ სტურუამ.

რუსთაველის თეატრის მმართველის, ზაალ ჩიბოქავას თქმით კი, რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში ბრუნდება. როგორც რუსთაველის თეატრში აცხადებენ, ხელშეკრულება, რომელიც ერთი თეატრალური წლის განმავლობაში ორი სპექტაკლის დადგმას გულისხმობს, რობერტ სტურუას გასაცნობად უკვე გადაეცა, ხოლო მისი საბოლოო პასუხი ჯერჯერობით უცნობია. თანამშრომლობის ხელშეკრულება რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ პირადად გადასცა. იმ პერიოდში რეჟისორი ოდესაში მიემგზავრებოდა და მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. სავარაუდოდ, მისი პასუხი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.



ზაალ ჩიქობავა

რობერტ სტურუა კი ამბობს, რომ იგი თავისუფალი ადამიანია, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს და ახლა მისი თეატრში დაბრუნება შეურაცხმყოფელი იქნება.

— შეურაცხყოფა მომაყენეს, დამცინეს, რასიზმი დამწამეს და ახლა მეუბნებიან, „საყვარელო, მოდი, არ ხდება ასეო“. ჯერ გამაგდეს, მერე მეუბნებიან, ორი სპექტაკლი დადგი, დიდ ფულს მოგცემთ. უკვე აღარ ვარ ქსენოფობი? — კითხულობს რეჟისორი, — გმირი არ ვარ, ადამიანი ვარ, თავისუფალი ადამიანი. ჩემ თავს პატივი ხომ უნდა ვცე. რაღაც ისეთი ნაბიჯი უნდა გადავდგა, რაც სინდისთან არ ლაგდება. ეს იმას ჰგავს, როცა ეარშიყები ქალწულს, მოხდა აქტი და მერე ეუბნები — წადი, შე კახპა. ჩემი იქ დაბრუნება იქნება კახპად დაბრუნება.

რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრის რიგით რეჟისორად დარჩენასთან დაკავშირებით თეატრის ხელმძღვანელობისგან მოსაფიქრებლად დაახლოებით ორი თვე ითხოვა. მან უკვე ჩაატარა რეპეტიცია თეატრში და ახალი თეატრალური სეზონიც მისი სპექტაკლით გაიხსნება.

— საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს მთელი ოსეთი და აფხაზეთი დაუთმო და რაღა ჩემი რეჟისურა იქნება საქართველოს ღალატი. ახლა მგონი ლაპარაკია იმაზეც, რომ აქეთა მხრიდანაც იქნება მათი აღიარება დამოუკიდებელ ქვეყნებად. ჩემი რეჟისურა საქართველოს კიდევ ერთ რომელიმე ნაწილს არ წაართმევს. მე არ ვუყურებ იმ რუსებს, ვისთანაც მე მივდივარ, როგორც მტრებს, რადგან მე იქ ძალიან ვუყვარვარ ხალხს. როცა ვდგამდი „ქარიშხალს“, შემომთავაზეს, რომ მე დამეკავებინა მოწვეული მთავარი რეჟისორის პოსტი. მე ვუთხარი, რომ მოგველაპარაკებინა. ეს ამბავი რომ მოხდა, მომაწვნენ, ასე ვთქვათ და მითხრეს, რომ აგერ ბინა, ხელფასი, ერთი დადგმა სეზონში, ისევე თავისუფალი იქნები და სადაც გინდა წადი, თუ გინდა საქართველოში თუ გინდა ლონდონშიო. საბოლოო გადაწყვეტილება არ მაქვს მიღებული, რადგან მოვლენებს ფინალამდე ჯერ არ მიუღწევია. ჯერ მე არ მითქვამს არაფერი, რადგან ვგრძნობ, რომ ჯერ მხოლოდ კულმინაციაა დაწყებული. თაყვანისმცემლების აზრი ორად არის გაყოფილი, ზოგი პირდაპირ მეხვეწება, რომ არ წახვიდე, ზოგი ამბობს წადიო, მესამეები ამბობენ, რომ ღალატია. თვითონ ინგლისელები მწერენ, კარგია, რომ რუსეთიდანაც გაქვს შემოთავაზებები და უცბად არაფერს დათანხმდეო. ჩემთვის იწყება ახალი ეტაპი. ცოტა მტკივნეული მომენტია, რადგან არ იცი, სად დაამთავრებ. ის პერიოდია, როცა უსათუოდ კარგად უნდა გავზომო. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების ფინალიც ახლოს არის, — ამბობს რეჟისორი.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მოდგმა, შთამომავლობა; 2. საყანედ გაკაფული ტყის ზოლი; 3. ომების მოწინააღმდეგე; 4. ხორბლის, ფქვილის მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 5. უნივერსიტეტი პარიზში. 8. მაღალხარისხოვანი ღვინო; 9. შთაგონებით გამოწვეული ძილთან მიახლოებული მდგომარეობა; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 12. შტატი აშშ-ში; 13. სატანვარჯიშო იარაღი; 15. სპეციალური მაგიდა სადურგლო სამუშაოებისთვის.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. მგალობელი ფრინველი; 10. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 14. სხვისი შვილების გამზრდელი; 16. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 17. ადამიანის დასნეულება ცხოველური პარაზიტებით; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „პეჟო“. 2. „ალი“; 3. მაკიაველი; 4. ქანდა; 5. მეჯლისი; 8. კოპი; 9. პატრული; 10. ინჟინერი; 12. „უცნობი“; 13. გროგი; 15. ამირა.

**თარაზულად:** 1. „პუბლიკა“; 6. ჩანტლაძე; 7. ჟოკეი; 10. იტილი; 11. სპორა; 13. გორდი; 14. შტაბი; 16. ოქრო; 17. ოთხვისი; 18. ლეკალო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყადი; 2. ახო; 3. ლილახანა; 4. რუ; 5. ასკურავა; 6. ლაპი; 7. კამბუზი; 10. „ვიში“; 11. მელომანია; 12. „მანიკური“; 13. ლისი; 16. სოსელო; 18. არქაიკა; 19. იდილია; 21. ზვავი; 24. დერბი.

**თარაზულად:** 1. ყეენობა; 3. ლაზერი; 8. ასკანა; 9. დევი; 14. ეშერა; 15. მიზერი; 17. „ნანა“; 20. ნამაზი; 22. ვერძი; 23. დეკადა; 25. ეში; 26. ერგი; 27. ლალი; 28. რამიშვილი.

# მოსკოვში ფიროსმანის „შავ ლომს“ ექსპერტიზა უტარდება


ფიროსმანის „შავი ლომი“

ფიროსმანის ტილოს „შავი ლომი“ ექსპერტიზა უტარდება.

როგორც მოსკოვიდან დაბრუნებულმა, „შავი ლომის“ ქართველი მფლობელის ყარამან ქუთათელაძის ადვოკატმა „მედიანიუსს“ განუცხადა მან მოსკოვის საქალაქო სასამართლოსთან დასვა შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ ტილოს ჩაუტარდეს ექსპერტიზა მისი ორიგინალობის დასადგენად.

დიმიტრი გაბუნიას თქმით, ექსპერტიზის პასუხი დაახლოებით ორი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი.

— ახლა მთავარია, რას დაადგენს ექსპერტიზა, არის თუ არა აღნიშნული ტილო ორიგინალი. იმ შემთხვევაში, თუ მისი ორიგინალობა დადასტურდება მაშინ გავაგრძელებთ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შევწყვეტთ მისი დაბრუნებისათვის ბრძოლას, — განაცხადა გაბუნიამ და დასძინა, რომ მან მოსკოვში ყოფნისას „შავი ლომიც“ ნახა, რომელიც ამჟამად შენახულია და მის უსაფრთხოებაზე სამართალდამცავები ზრუნავენ.

ადვოკატის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ტილოს ორიგინალობა დადასტურდება, სასამართლო პროცესი ჯერ მოსკოვის საქალაქო სასამართლოში გაიმართება შემდეგ კი, თბილისში.

თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება, რადგან მოსამართლე შვებულებიდან 18 სექტემბერს გამოდის.

შეგახსენებთ, რომ დიმიტრი გაბუნია მოსკოვში ივლისშიც იმყოფებოდა, სადაც რუს კოლეგებს შეხვდა და დამატებით მტკიცებულებები გააცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბათილად ჩაითვლება ის ხელშეკრულება, რომლის საშუალებითაც ტილო გასხვისდა. ხოლო მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება “შავ ლომს“ აუქციონზე გატანისა და გასხვისებისგან დაიცავს.

ცნობისათვის: ყარამან ქუთათელაძის ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 აპრილს სარჩელის შეტანის პარალელურად პროკურატურაში საჩივარი შეიტანა, სადაც ტილოს ამჟამინდელ რუს მფლობელ ვიაჩესლავ ეფიმოვს თაღლითობაში ადანაშაულებს.

დაკარგულად მიჩნეული, ფიროსმანის ,,შავი ლომი,, წელს რუსეთში ერთ-ერთ გალერეაში გამოფინეს, რაც ქართულმა მხარემ გააპროტესტა, თუმცა მოგვიანებით, მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა ეფიმოვმა მედიას წარუდგინა საბუთები, რომელზეც ნახატის მფლობელის ყარამან ქუთათელაძის ხელმოწერა იყო. დოკუმენტი ეფიმოვს უფლებას აძლევდა, ტილო საქართველოდან გაეტანა. **მედიანიუსი**

## შიდსის ვირუსით 33 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

შიდსის ვირუსით 33 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. მას ლიმფური სისტემის სიმსივნე განუვითარდა.

სპეციალისტთა თქმით, აივ ინფექციით გარდაცვლილთა რაოდენობა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, რის მიზეზადაც დაავადების გვიანი გამოვლენა სახელდება. დაავადების გავრცელების ძირითად წყაროდ ნარკომანია ითვლება.

— სექტემბრის თვეში ეს გარდაცვალების ერთი შემთხვევაა. 2011 წელს გარდაცვლილია 85 პაციენტი. ეს იმაზე მეტია, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში იყო. იღუპებიან მხოლოდ ის ავადმყოფები, რომლებიც ექიმს ძალიან დაგვიანებულ სტადიაზე მიმართავენ, კერძოდ როდესაც მათ აქვთ რომელიმე, სიცოხლისათვის შეუთავსებელი დაავადება. ძირითადად ეს არის სამი ჯგუფის დაავადებები: ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლის ციროზი და წამალგამძლე მულტირეესტენტული ტუბერკულოზი, — აღნიშნავს შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი თენგიზ ცერცვაძე.

**მედიანიუსი**

## ჯილეხით 32 წლის მამაკაცი დაავადდა

მარნეულში ჯილეხით 32 წლის ასიპ ბადალოვი დაავადდა. ის ინფექციური პათოლოგიების ცენტრში ციმბირის წყლულის დიაგნოზით მოათავსეს. პაციენტი ამტკიცებს, რომ მას არც საქონელი დაუკლავს და არც ხორცი დაუმუშავებია, კლინიკას კი მას შემდეგ მიმართა, რაც ხელზე გამონაყარი შენიშნა და ცხელება დაეწყო.

ექიმების განცხადებით, პაციენტის დიაგნოზი ჯილეხის კანის ფორმაა, მას ჩაუტარდა საჭირო მკურნალობა და ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

**მედიანიუსი**



## სამგლოვიარო განცხადებები



გივი ჭყოიძის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ოსეფაშვილების ოჯახს, მათი ოჯახის თავკაცის, დიდი მეურნის და კეთილშობილი პიროვნების

**რეზო (ტუხა) ოსეფაშვილის**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: 17 სექტემბერს.

მისამართი: სოფელი შუა ნიჩბისი (მცხეთის რაიონი).

შვილები, შვილიშვილები და ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვენერა ჭიჭის ასული სამუშია-ჭელიძე**

პანაშვიდი: 15, 16 სექტემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 17 სექტემბერს, 16 საათზე.

მისამართი: წალენჯიხის რაიონი, დაბა ჯვარი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის №143.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


# ქეცბაია და ჭედია ეროვნულად და ახალგაზრდულად გაიყვნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მენტი სიჭინავას თქმით, საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრების კოორდინირება ქეცბაიას დაევალა.

ვიდრე ნაკრების თავკაცი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დომენტი სიჭინავა კონტრაქტს ხელს მოაწერდნენ, პრესკონფერენცია გამართეს.

***— განვლილ პერიოდში საქართველოს ნაკრებში თქვენი იდეები თუ განახორციელეთ? იქნებ რამე ვერ გააკეთეთ?***

— თუ გავითვალისწინებთ, რა გუნდი ჩავიბარე ორი წლის წინ და ახლა რა არის, რაღაც წინსვლა გვაქვს. სასიამოვნოა, რომ მთელი ამ ორი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრები იოლი მეტოქე არავისთვის ყოფილა — კარგი დონის გუნდებით დაწყებული და იმ გუნდებით დამთავრებული, ვისთანაც, სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ იმას, რაც გვეკუთვნოდა. ლატვიის ნაკრებთან ამ შესარჩევ ციკლში საუკეთესო თამაში ჩავატარეთ. არ მახსოვს, რომ საქართველოს ნაკრებს ასე კარგად ეთამაშოს და ამდენი მომენტი შეექმნას. კარში 23-ჯერ რომ დაარტყამ და ვერ გაიტან... თუმცა, ხარვეზებიც გამოჩნდა და სამუშაო ბევრია. იმას რომ მივაღწიოთ, რაც მე მინდა და რაც ქართველ გულშემატკივარს უნდა, ადვილი არ არის. ვეცდებით, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ის ფეხბურთელები გამოვიყენოთ, რომლებიც ახლა ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიან. ახალგაზრდული შესარჩევ ციკლს მომავალი წლის სექტემბერში ჩაამთავრებს და ერთი წელიწადი გვაქვს, რომ მათ დავაკვირდეთ. შესაძლოა, ვიღაც კიდევ გამოჩნდეს, როგორც ეს ბოლო პერიოდში იყო და თავი გამოიჩინოს. არიან ფეხბურთელები, რომელთაც ტრავმები აქვთ და ისინიც დაიწყებენ ვარჯიშს.

***— მაინც, რა იყო ლატვიასთან და მალტასთან წარუმატებლობის მიზეზი?***

— ის იყო, რომ გოლი ვერ გავიტანეთ. როდესაც მეორე ნომრად ვთამაშობდით, უფრო ადვილი იყო და შედეგიც უკეთესი გვქონდა. როდესაც უკვე აუცილებლად მოგება დაგვჭირდა, ბევრი ხარვეზი გამოჩნდა. მათ გამოსასწორებლად არა მხოლოდ მწვრთნელებმა, არამედ, ფეხბურთელებმაც უნდა იმუშაონ. კაცი მოედანზე რომ გადის, მწვრთნელის დავალების შესრულება იქ უწევს. სამწუხაროა, რომ ლატვიასთან წავაგეთ. იმ თამაშმა მთელი ორი წლის ნაშრომი წყალში ჩაგვიყარა. საქართველოში ათასობით ფეხბურთელია, მაგრამ იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, გვყავს კი კონტინგენტი, რომელიც ფინალურ ეტაპზე გავა და ითამაშებს? ამ ბიჭებთან პრეტენზია არ მაქვს. მათ მაქსიმუმი გააკეთეს. მოედანზე გამოდიან და არაფერს იშურებენ, რათა გულშემატკივარი გაახარონ. არის თამაშები, რომლებიც არავითარ ლოგიკაში არ ჯდება. ასეთი თამაში იყო ლატვიასთან. მეტი ქულის მიღებას ვიმსახურებდით, ვიდრე რეალურად მივიღეთ.

***— როგორ ფიქრობთ, ნაჩვენები თამაში და შედეგი ამ გუნდის მაქსიმუმია, თუ მას მეტის გაკეთება შეუძლია? სატურნირო ცხრილი ჯგუფში ძალთა განლაგებას რეალურად ასახავს?***

— გამომდინარე იქიდან, თუ როგორ მდგომარეობაში ჩავიბარეთ გუნდი, ნაკრების გამოსვლა დამაკმაყოფილებელია. ასე რომ არ ყოფილიყო, არავინ მოვიდოდა და მეტყოდა, კონტრაქტი გავახანგრძლივოთო. უფრო მეტი ქულის მოპოვება შეგვეძლო. ჩემი აზრით, 5 ქულით მეტი უნდა გვქონდეს. შესაძლოა, რაღაც შეცდომები მეც დავუშვი და ამიტომ, 15 ქულის ნაცვლად 10 გვაქვს. ლოგიკურად რომ შევხედოთ, ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მეტი კვალიფიციური ფეხბურთელი გვჭირდება და უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ. ერთმანეთის მოტყუება არ გამოგვადგება. ის პიროვნება არ ვარ, ვინმე მოვატყუო და ოქროს მთებს შევპირდე. ვინც ღირსი იქნება იმას ვათამაშებთ. მგონია, ყველა გამოვიძახეთ, ვინც საქართველოს ნაკრებში მიწვევას იმსახურებდა.

***— ჯაბა დვალმა ევროტურნირებზე კარგად ითამაშა. მის გამოძახებას არ აპირებთ?***

— გასაგებია, რომ კარგად ითამაშა. ჩვენ შანსი ყველას მივეცით. ბევრმა გამოიჩინა თავი და ნაკრების დახმარება შეძლო. რაც მეტი კარგი ფეხბურთელი იქნება, ეს ქართული ფეხბურთის წინსვლას ხელს უფრო მეტად შეუწყობს. მომავალი ორი წელიწადი გუნდის შესაქმნელად უნდა გამოვიყენოთ. გასაგებია, რომ ასაკიდან გამომდინარე, ნაკრებიდან წასვლა ბევრს მოუწევს. მოგეხსენებათ, რომ ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე საფრანგეთში 24 გუნდი ითამაშებს. ჩვენც იქით მივდივართ, რომ შეიქმნას გუნდი, რომელიც 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლებს. ამიტომ, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ და უფრო მეტ ახალგაზრდა ფეხბურთელს მივცეთ თამაშის საშუალება, რათა 2016 წლის შესარჩევისთვის გუნდი უკეთ მოემზადოს.

***— ნებისმიერ გუნდში მეკარე ისეთი ფიგურაა, რომელსაც ძალიან იშვიათ შემთხვევაში ცვლიან. ხორვატიასთან სტუმრად ჩატარებული მატჩის გარდა, ნაკრების კარს ყველა შეხვედრაში ნუკრი რევიშვილი იცავდა, რომელსაც თამაში ნამდვილად არ ჩაუგდია. აქედან გამომდინარე, ლატვიასთან კარში გიორგი ლორია რატომ დააყენეთ?***

— თქვენი შენიშვნა მისაღებია და გეთანხმებით ყველანაირად. ძალიან კარგად იცით, რომ ეროვნული ნაკრები კლუბი არ არის, სადაც ფეხბურთელები ყოველდღე შენთან არიან. ძალიან მიხარია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ორი ისეთი მეკარე გამოჩნდა, როგორიც ბოლო ოცი წელია, არ ჰყოლია. გამომდინარე იქიდან, რომ ლორიამ ძალიან კარგად ითამაშა „დინამოს“ შემადგენლობაში ევროპის ლიგაში და ხორვატიასთან სტუმრად ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა, ამიტომ, ლატვიასთან მას ვენდე. შესაძლოა, პირველყოვლისა ეს მეკარეებისთვის უნდა მეთქვა, მაგრამ ახლა ვამბობ, რომ მინდა, მომავალ შესარჩევ ციკლში ორივე მეკარეს თამაშის შანსი თანაბრად მივცე. შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კაცს ხაზი უნდა გადაუსვა.

***— ეროვნული ნაკრებიდან კახა გოგიჩაიშვილის წასვლის შემდეგ, გუნდს მარჯვენა გარემარბის პრობლემა ჰქონდა. რას იტყვით 22 წლის დავით თარგამაძეზე, რომელმაც ხსენებულ პოზიციაზე უკვე სამი თამაში ჩაატარა?***

— სწორედ ის არის კარგი, რომ თარგამაძე 22 წლისაა და მთელი საფეხბურთო კარიერა წინ აქვს. თანაც, თავის კლუბშიც სტაბილურად თამაშობს. ასევე გამოჩნდა სანდრო კობახიძე, საინტერესო ფეხბურთელი. ჩვენთვის უკეთესია, თუ მეტი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდება, რომელიც ნაკრებს გამოადგება.

***— ასაკიდან გამომდინარე, შორს არ არის ის დრო, როდესაც იაშვილი, კობიაშვილი, კალაძე, ხიზანიშვილი ეროვნული ნაკრებიდან წავლენ. რამდენად რთული იქნება მათი შემცვლელების მოძებნა? ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის თუ გეგულებათ ისეთები, ვინც ჩამოთვლილ მოთამაშეებს სრულფასოვნად შეცვლიან?***

— თუ რაღაცას ვაპირებ, პირველყოვლისა, ამ ბიჭებს უნდა დაველაპარაკო. თითოეული მათგანი პატივისცემის ღირსია. ეს ბიჭები ყველასთვის მაგალითი იყვნენ. მათთან ერთად 10 წელი ნაკრებში მითამაშია და მათი მხრიდან ერთხელაც არ მიგრძნია რაიმე ისეთი. ღმერთმა ქნას, მათ მსგავს პროფესიონალებს მიეცეთ ნაკრებში თამაშის საშუალება. მე თუ მკითხავთ, ამ ხალხს ნაკრებში თამაში კიდევ შეუძლია. თითოეულ მათგანთან აუცილებლად ვისაუბრებ. კარგად იცით, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რა ჯგუფში მოვხდით და რა ძნელი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. თავის მოტყუება საჭირო არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ მეტოქესთან ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს არ გამოვავლენთ. ყველანაირად მზად ვართ გამოწვევებისთვის და არაფრის გვეშინია.



**ზვიად სიჭინავა:**

— გუშინ მთელი დღე ვსაუბრობდით მე და თემური. ფეხბურთის ფედერაციის აზრია, რომ მან აიღოს კონტროლი ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებზე. ახალი კონტრაქტი შედგენილია სისტემით 2 პლუს 2. საწყისი ორი წელიწადი არის 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებელი. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კი, გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლებს. გარდა ამისა, ქეცბაია პასუხისმგებელი იქნება ყველა ასაკობრივ ნაკრებზე — 21-წლამდელებზე, 19-წლამდელებზე, 17-წლამდელებზე. მან უნდა აირჩიოს ის ხალხი, ვინც ამ ნაკრებებს უხელმძღვანელებს.

სოსო ჭედიას ახალგაზრდულში მუშაობის დაწყება კი თავად ქეცბაიამ გვამცნო და იქვე დაახასიათა:

— სოსო ჭედია არის ის პიროვნება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდულ ნაკრებს უხელმძღვანელებს. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ვიტყვით, თუ ვინ იქნება ახალი მწვრთნელი. ეროვნულ ნაკრებს ერთი ოფიციალური შეხვედრა დარჩა, ხოლო ჩვენ ერთი წელიწადი გვაქვს, რათა იმ ახალგაზრდა მოთამაშეებს, ვინც ეროვნული ნაკრების კანდიდატებად მოიაზრებიან, ვუთხრათ, რას ველით მათგან. ეს არის ყველაზე კარგი ვარიანტი.



**სოსო ჭედია:**

— მუშაობას, ფაქტობრივად, დღეიდან ვიწყებთ. ძალიან რთული მატჩი გველის შვეიცარიასთან. ამ გუნდის ათმა ფეხბურთელმა ევროპის ბოლო ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, სადაც ესპანეთთან წააგეს. პირველყოვლისა, ჩვენი მიზანია, ესპანეთთან წაგებული ორი თამაშის შემდეგ, ბიჭების ფსიქოლოგიური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. უნდა დავწყნარდეთ და შვეიცარიის წინააღმდეგ როგორც დალაგებული გუნდი, ისე გამოვიდეთ. ჯგუფიდან გასვლისთვის ვიბრძოლებთ და საქართველოს ნაკრებთან იოლი გასეირნება არავის ექნება. ისეთივე სტრატეგია გვექნება, როგორიც ეროვნულ ნაკრებშია. მინდა, მადლობა გადავუხადო ოთარ გაბელიას გაწეული მუშაობისთვის და ვფიქრობ, მისი წასვლა ნაადრევი იყო. აუცილებლად დაველაპარაკები და მის აზრს გავითვალისწინებ.

**მ. ჟ.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 14 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.30** სათავგად. ფილმი "**უბრალოდ დესერტი**" **11.00** დოკ. ფილმი **11.20 რაგბი**. მსოფლიო თასი. შოტლანდია-საქართველო **13.10** აუდიტორია **14.10** ქართული დოკუმენტალისტიკა **15.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **16.00, 19.00, 20.00** მოამბე **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.50 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **21.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **21.50 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **23.50** აივანი **00.20** მხ. ფილმი "**სერიული მკვლელი**" (15) (ჯ. ვუდსი) **02.00** მოამბე **02.20** ჩვენი ეზო **03.20** მხ. ფილმი "**ყასაბის ცოლი**"

**08.00, 00.40** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.30** თავისუფალი ტრიბუნა **20.30 ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი **01.40** მხ. ფილმი "**მაგარი ბიჭები არ ცეკვავენ**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობილი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** სერ. "**მაშველები**" **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **19.45** სერ. "**სახლი მეზობლად**" **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. სითი-ნაპოლი **23.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. "**ჰანა მონტანა**" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.50** თბილისი ლაივი **00.30** მხ. ფილმი "**საშობაო ამბავი**" (პ. კრუსი) (სუბტ.) **02.30** მხ. ფილმი "**იტალიური ისტორია**" (15) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. "**დაკარგული ქვეყანა**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**ელიზა 2**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **12.50, 19.35** სერ. "**შექსპირიადა**" **15.15** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.00** დოკ. ფილმი "ისინი" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30**

განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**შეხვედრა მთაში**" **13.45** კონცერტი – პაკო დე ლუსია **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** მხ. ფილმი "**საჰაერო ხიდი**" **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20 100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**საბუდარელი ჭაბუკი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფილმი "ყველაფერი ქორეოგრაფიაზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **01.00** კონცერტი – ანდრე რიე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,641

ევრო —2,3815

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 14 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-26, ღამით — 19-13

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 19-15

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 2-11







# ქეცბაია და ჭედია ეროვნულად და ახალგაზრდულად გაიყვნენ

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა — ქეცბაიამ ფედერაციასთან 2 პლუს 2 სისტემით ახალი კონტრაქტი გააფორმა.

დღესვე გაირკვა, რომ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებს საკუთარი ინიციატივით გადამდგარი ოთარ გაბელიას ნაცვლად, სოსო ჭედია უხელმძღვანელებს, რომელიც აქამდე თემურ ქეცბაიას ასისტენტი იყო ეროვნულ ნაკრებში.

გეტყვით იმასაც, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, დო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე



თემურ ქეცბაია და სოსო ჭედია

# რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში დაბრუნდა

ეკა ირემაშვილი

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ რუსთაველის თეატრის დასთან რობერტ სტურუა დაბრუნდა და მათთან ერთად გაიარა რეპეტიცია ახალ სპექტაკლზე „ნადირობის სეზონი", რომელიც რუსთაველის თეატრის რიგით 133-ე თეატრალურ სეზონს 23 სექტემბერს გახსნის.



რობერტ სტურუა

რეჟისორს არ დაუმალავს, რომ ეს სპექტაკლი მის შემოქმედებაში სიახლეა, თუმცა ვინაიდან მისი თამაში მხოლოდ რამდენჯერმე მოასწრეს გასულ თეატრალურ სეზონზე, ამიტომ რეჟისორს გადაწყვეტილი აქვს, წარმოდგენაში სიახლეები შეიტანოს.

— ერთხელ ვითამაშეთ ოთარ ჭილაძის „ნადირობის სეზონი". ვფიქრობ, სიმბოლური სახელწოდებაა. ეს სპექტაკლი ჩემს შემოქმედებაში სიახლეა. ამ წარმოდგენის შემდეგ ძალიან აფორიაქებული მაყურებელი ვნახე. უჩვეულო სპექტაკლი გამომივიდა. ერთხელ კიდევ ვნახავ, შევცვლი რაღაცებს და შევაფასებ, — განაცხადა რეჟისორმა „რია ნოვოსტის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საქმიანი ქალი ხართ?

**ტესტი**



***1. როგორია თქვენი ზოგადი წარმოდგენა საქმიანი ქალის შესახებ?***

ა) ქალი, რომელსაც ბევრი საქმე აქვს; ბ) ქალი, რომელიც ახერხებს მათ კეთებას; გ) ქალი, რომელიც ახერხებს თავისი ფუნქციების შესრულებას როგორც შინ, ასევე გარეთ; დ) საქმიანი ქალი ქალი აღარ არის.

***2. ვთქვათ, ვიღაცას დახმარებას დაჰპირდით, მაგრამ რატომღაც ვეღარ ახერხებთ დაპირების შესრულებას. თქვენი მოქმედება:***

ა) აცნობებთ გარემოებების შეცვლის შესახებ; ბ) შეეცდებით აუხსნათ, რა ვითარებაში მოხვდით და მომავლისთვის დაპირდებით დახმარებას; გ) შეეცდებით შეასრულოთ დაპირება; დ) არადროს არავის არაფერს ჰპირდებით.

***3. შინ და სამსახურში სხვადასხვა ნივთებით სარგებლობთ. რა წესებით განალაგებთ მათ?***

ა) ყველა ნივთი ძევს იქ, სადაც სურს; ბ) ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს; გ) დროდადრო ვალაგებ მათ; დ) დროის უკმარისობის გამო ვინმე სხვას ვთხოვ მათ დალაგებას.

***4. დავალებების, თხოვნებისა და პრობლემების ფიქსირების რომელ მეთოდს იყენებთ?***

ა) დღიურში ვწერ; ბ) ნაწილს ვიმახსოვრებ; გ) ყველაფრის დამახსოვრებას ვცდილობ; დ) ვადგენ საქმეების დღიურ სიას.

***5. რამდენად ზუსტად მიდიხართ ოფიციალურ შეხვედრაზე?***

ა) წინასწარ და ცოტა ადრეც; ბ) დროულად; გ) როგორც წესი, ვიგვიანებ; დ) ყოველთვის ვიგვიანებ.

***6. ანიჭებთ თუ არა მნიშვნელობას დავალებების დროულ შესრულებას?***

ა) აუცილებლად; ბ) დავალების დროული შესრულება ახალი დავალების მიღების შანსია; გ) ქალი სამსახურში დავალებებს უნდა ასრულებდეს, მაგრამ აუცილებელი არ არის — დროულად; დ) ვცდილობ ნაკლები ვილაპარაკო და მეტი ვიმუშაო.

**პასუხები** პასუხებში თითოეული ვერსიის ხაოდენობის მიხედვით.

**ა** — თქვენ საქმიანი ქალი ხართ ამ სიტყვის საუკეთესო და სრული მნიშვნელობით. შეგიძლიათ შეასრულოთ მიცემული სიტყვა. აფასებთ საკუთარ და სხვის დროს.

**ბ** — განეკუთვნებით იმ ქალების კატეგორიას, რომლებსაც ნაწილობრივ საქმიანს უწოდებენ. რა თქმა უნდა, კარგად არ ჟღერს, მაგრამ რას იზამთ — ხან ხართ საქმიანი, ხან არა.

**გ** — ნამდვილად არ განეკუთვნებით საქმიანი ქალების კატეგორიას, რადგან მიგაჩნიათ, რომ ქალი მუშაობისთვის არ არის გაჩენილი. უფრო მეტიც, ქალისთვის ეს მავნებელია.

**დ** — ასრულებთ მხოლოდ იმ დავალებას, რომელიც თქვენს საქმედ მიგაჩნიათ, არ ცდილობთ რაიმე დამატებითი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

# ასტროპროგნოზი 14 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, საქმე არ გაიფუჭოთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, გართულება არ გჭირდებათ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — სამსახურში სიახლე დაგხვდებათ. **ღრიანკალი** — თავს მიხედეთ, არ გადაიღალოთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთან საუბარი სურს. **თხის რქა** — დღეს სასიამოვნო ამბავს გაიგებთ. **მერწყული** — ნაადრევ დასკვნას ნუ გამოიტანთ, ჯერ კარგად გააანალიზეთ სიტუაცია. **თევზები** — ჩაფიქრების მიზეზი ნამდვილად გაქვთ, მაგრამ ნუ დაითრგუნებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქვით ნაგები ღობე; 2. დანალექი ტყის, მდინარის ფსკერზე; 3. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 4. ჯავშნიანი ქვეწარმავალი; 5. წყნარი ოკეანესპირა კურორტი მექსიკაში; 6. ჩეხთა წინაპარი სახელმწიფოს დამაარსებელი; 7. საზაფხულო ფეხსაცმელი; 10. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 11. ქალაქი აფხაზეთში; 12. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 13. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 16. მგალობელი ჩიტი; 18. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 19. ნარკოტიკული ნივთიერება; 21. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 24. სპორტული შეჯიბრების არბიტრი.

**თარაზულად:** 1. თეთრი მელას ძველი ქართული სახელწოდება; 3. ქალაქი სამეგრელოში; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 9. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე, პორტებში, ჰიდროკვანძებში; 14. „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი; 15. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 17. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 20. მდინარე ყვარელში; 22. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 23. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 25. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდას რაიონში; 26. პოლონელთა წინაპარი, სახელმწიფოს დამაარსებელი; 27. ძველებური რბილი, დაბალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი; 28. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# იუმორი



მოახლე ავად გახდა. ექიმს დაუძახეს. ექიმმა პაციენტის გასინჯვა დაიწყო, მაგრამ როგორც კი ქალბატონი ოთახიდან გავიდა, მოახლე ხმადაბლა ეუბნება.

— ავად არ ვარ, უბრალოდ, ქალბატონი ხელფასს სამი თვეა მიგვიანებს, ამიტომ, გადავწყვიტე, საწოლიდან მანამდე არ ავდგები, სანამ ფულს არ გადამიხდის.

— მშვენიერი იდეაა, — შეაქო ექიმმა, — თქვენს ქალბატონს ჩემი ხუთი გამოძახებისა მართებს, ჩაიწიეთ, გვერდზე მოგიწვებით...

***

ტიპმა ზღვის ნაპირას ბოთლი იპოვა. იფიქრა, ალბათ ჯინი ზის, ხელი უნდა გავუსვაო. უსვამს ერთი საათი, ორი, სამი. დაიღალა. ამ დროს ბოთლიდან მოწყენილი ხმა ესმის.

— საცობი ამოაძრე, იდიოტო...

***

— რა აჩუქე ქმარს დაბადების დღეზე?

— ქურქი.

— იმან?

— სანადირო თოფი...

***

— აბა, ოცი წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ გამოცდებისათვის მოსამზადებლად მობილური ტელეფონით კონსპექტების გადაღება იქნებოდა საკმარისი...

— შეგიძლიათ თამამად ამიყვანოთ ჯამბაზად, მკვდარსაც კი გავაცინებ.

— სამწუხაროდ, ცოტა განსხვავებული კლიენტურა გვყავს...

***

— რამდენი წლის ხართ, მადამ?

— ცოტა ხნის წინ ოცდაათს მივუახლოვდი.

— მართლა? მერე გზაში ასე დიდხანს რამ დაგაყოვნათ?

***

მკითხავთან:

— ვხედავ, მალე გათხოვდები.

— ჰო, მაგრამ მას არ უნდა.

— მოუწევს, ორ ზოლს ვხედავ...

***

— ყველაზე უცნაური არსება ქათამია, დაბადებამდეც მივირთმევთ და გარდაცვალების შემდეგაც...

გ.თ.